ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის

სასწავლო უნივერსიტეტი

სამართალმცოდნეობის და საჯარო მმართველობის ფაკულტეტი

მგელაძე თამთა

საერთაშორისო ურთიერთობები და საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები

საჯარო მმართველობა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ბესიკ ბერიძე

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ხიჭაური

2019

ანოტაცია

საერთაშორისო ურთიერთობა, რომელიც ეყრდნობა საერთაშორისო სამართალს, ყველაზე აქტუალური და საკამათო თემაა. სახელმწიფოთაშორისო სამართალი საერთაშორისო ურთიერთობის შემადგენელი ნაწილია, რომელიც აქტუალური სამართლის დარგის ყველაზე აქტუალური საკითხია.

სუვერენიტეტი სახელმწიფოს უმთავრესი შემადგენელი ნაწილია. ისტორიული თვალსაზრისით სუვერენიტეტს, ძალა ინარჩუნებდა და ძლიერი სახელმწიფო დაარღვევდა სუსტი სახელმწიფოების სუვერენიტეტს. თანამედროვე საზოგადოებაში, გლობალიზაციის ერაში, ანუ დღეისათვის ეს ასე არ ხდება, რაც საერთაშორისო ურთიერთობის და საერთაშორიო სამართლის დამსახურებაა. საერთაშორისო ურთიერთობის მთავარი ატრიბუტი, საერთაშორისო ნორმა, ყოველგვარ კონფლიქტს მშვიდობიანი გზით წყვეტს და რაც მთავარია სუსტ, საქართველოსთანა პატარა და განვითარებად სახელმწიფოს სუვერენიტეტს უნარჩუნებს, ყოველგვარი ომისა და არეულობის გარეშე. ძლიერ ზესახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობა და ნორმა არ აძლევს საშუალებას, როგორც ეს წინა საუკუნეებში ხდებოდა, სუსტს წაართვას სუვერენიტეტი.

საქართველოს ადგილი და გარესამყარო საერთაშორისო ურთიერთობაში დამოკიდებულია ისეთ ბუმბერაზ საერთაშორისო ორგანიზაციებზე, როგორებიცაა: გაერო, ევროკავშირი, ნატო. ჩვენი სახელმწიფო ყოველგვარ გზას ეძებს რათა პატიოსნად შეასრულოს საერთაშორისო ურთიერთობის ვალდებულებები და ცდილობს გაწევრიანდეს ევროკავშირსა და ნატოში.

Annotation

International relationship, which is depend on international law, is the most important and debatable topic. Intergovernmental law is the part of international relationship.

Sovereignty is the most important part of state. From history, we know, that strong state always was disfranchise weak state. Now in the modern society, it not happens like this, which is desert of international relationship and international law. The main part of international relationship is international law. The main part of international relationship, international rule, is working to avoid violence, protect little countries, as Georgia is and preserve sovereignty without war.

Positions of Georgia and World in this international relationships is depend on such a huge international organizations, such are: United Nations Organization, European Union, North Atlantic Treaty Organization. Our country Georgia, is always trying to find a way to carrying out obligations of international relationships and enlist in European Union.

Mgeladze Tamta

სარჩევი

შესავალი.....5

თავი I - საერთაშორისო ურთიერთობების ცნება, არსი, სისტემა, ისტორია

§ 1. საერთაშორისო ურთიერთობის ცნება, არსი, მნიშვნელობა, სუბიექტები.....7

§ 2. საერთაშორისო ურთიერთობის ისტორია.....15

§ 3. საერთაშორისო ურთიერთობები და საქართველო.....18

თავი II - საქართველოს ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში

§ 1. საქართველო და გაერო.....27

§ 1. საქართველო და ევროკავშირი.....29

§ 1. საქართველო და ნატო.....39

თავი III - საქართველო გარემომცველ სამყაროში

§ 1. საქართველო და აშშ.....57

§ 1. საქართველო და რესეთი.....64

§ 1. საქართველო და სხვა ქვეყნები.....69

დასკვნა.....74

გამოყენებული ლიტერატურა.....77

ინტერნეტ რესურსი.....80

შესავალი

თემის აქტუალობა. ზოგადად საერთაშორისო ურთიერთობა არის სამართლის ერთ-ერთი ინსტიტუტის, დარგის, საერთაშორისო სამართლის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი. თითქმის ისე იდენტური, რომ გარჩევა და განსხვავება შეუძლებელია. საერთაშორისო სამართალი არის საერთაშორისო ნორმათა ერთობლიობა, რომელიც მოქცეულია საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო პრინციპებისა და ნორმების ჩარჩოებში, განსაზღვრავს საერთაშორისო სუბიექტების ურთიერთობას, მას შეიძლება სახელმწიფოთშორისო სამართალი ვუწოდოთ, მაგრამ საერთაშორისო რეგიონალურმა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სასამართლომ, საერთაშორისო სამართალში შემოიტანა სუბიექტად ფიზიკური პირი, ამიტომაც საერთაშორისო სამართალი არა მარტო სახელმწიფოთაშორისო სამართალი, არამედ უფრო ფართო ცნებაა, საერთაშორისო ურთიერთობები არა მარტო სახელმწიფოთშორისი ურთიერთობებია არამედ ფიზიკური პირისა და სახელმწიფო ურთიერთობაცაა, ზემოთ ხსენებულმა სასამართლომ ფიზიკური პირის და სახელმწიფოს დავა საერთაშორისო არენაზე გაიტანა.

თემის აქტუალობა სწორედ ზემოხსენებულიდან გამომდინარეობს. დღეისათვის საერთაშორისო ურთიერთობებზე დიდი სამიტები იმართება და ბევრი კომენტარი კეთდება. მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს ადგილი საერთაშორისო ურთიერთობში და თანამედროვე საზოგადოებაში. სახელმწიფოს სუვერენიტეტი საერთაშორისო ურთიერთობასა და ნორმების საფუძველზე ნარჩუნდება. მითუმეტეს ისეთი სახელმწიფოებში, რომლებიც ჩვენი სახელმწიფოს მსგავსად პატარები და განვითარებადები არიან.

ასევე აქტუალობას მატებს ის საკითხიც, რომ საქართველო მიილტვის ნატოსა

და ევროკავშირის ურთიერთობისა და გაწევრიანებისაკენ.

პრობლემის სამეცნიერო დამუშავების დონე. მიუხედავად იმისა რომ საერთაშორისო ურთიერთობაზე უამრავი ნაშრომია დაწერილი, თემა ისევ საჭიროებს კვლევას, ასევე საერთაშორისო ურთიერთობის უამრავი ლიტერატურისა, არ არის ერთი ფუნდამენტალური ნაშრომი საქართველოს ადგილზე საერთაშორისო ურთიერთობში.

საკვლევი პრობლემის ფორმულირება. აღნიშნული თემის საკვლევი პრობლემაა: 1. საერთაშორისო ურთიერთობის სამართლებრივი ბუნების ჩამოყალიბება; 2. ნატოში გაწევრიანება; 3. ასოცირების ხელშეკრულება და ევროკავშირში გაწევრიანება; 4. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი, საერთაშორისო ნორმების დარღვევა, ექვსპუნქტიანი შეთანხმება.

კვლევის ობიექტი. კვლევის ობიექტს წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობები.

კვლევის საგანი. კვლევის საგანს წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობის ცნება, არსი, მნიშვნელობა, სისტემა, სუბიექტები, ისტორია. საქართველოს ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში, კერძოდ: საქართველოს ურთიერთობა გაეროს, ნატოს და ევროკავშირთან მიმართებაში. საქართველო გარემომცველ სამყაროში - კერძოდ საქართველოს ურთიერთობა აშშ, რუსეთსა და სხვა ქვეყნებთან.

ნაშრომის მიზნები და ამოცანები. წინამდებარე თემის მიზანია, საერთაშორისო ურთიერთობის, როგორც ინსტიტუტის დეტალური შესწავლა, მისი სამართლებრივი ბუნებისა და პრაქტიკული დანიშნულების გამოკვლევა.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად სამაგისტრო ნაშრომი იდგა შემდეგი ამოცანების წინაშე: 1. საერთაშორისო ურთიერთობის თეორიული და პრაქტიკული ნიუანსების შესწავლა. 2. საქართველოს ურთიერთობა საერთასორისო ორგანიზაციებთან და კონკრეტულ ქვეყნებთან.

კვლევის თეორიული ბაზა. კვლევის თეორიულ ბაზას წარმოადგენს სამეცნიერო ლიტერატურა და საერთაშორისო ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმები.

კვლევის მეთოდები. სამაგისტრო თემაზე მუშაობისას გამოვიყენეთ შემდეგი სამეცნიერო კვლევის მეთოდები: სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომების და

საერთაშორისო ორგანიზაციების პროგრამებისა და პრაქტიკის ანალიზი, ახსნის, სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა, კლასიფიკაცია-დაჯგუფებები, საფუძველ-შედეგობრიობის კავშირი და ა. შ.

კვლევის თეორიული დანიშნულება. მოცემული სამაგისტრო ნაშრომი შეიძლება გამოყენებული იქნეს საერთაშორისო ურთიერთობების და საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევების საკითხით დაინტერესებული პირების მიერ.

ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომი შედგება შესავლის, 3 თავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან.

თავი I. საერთაშორისო ურთიერთობების ცნება, არსი, სისტემა, ისტორია

§ 1. საერთაშორისო ურთიერთობის ცნება, არსი, მნიშვნელობა, სუბიექტები

საერთაშორისო ურთიერთობები პოლიტიკური მეცნიერების ერთ-ერთი დარგია, რომელიც შეისწავლის საგარეო პოლიტიკასა და სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებს საერთაშორისო სისტემაში. ეს უკანასკნელი მოიცავს სახელმწიფოებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მულტინაციონალურ კორპორაციებს. საერთაშორისო ურთიერთობები არის როგორც აკადემიური ასევე საჯარო პოლიტიკის სფერო, რომელიც შეიძლება იყოს პოზიტიური ან ნორმატიული. იგი ცდილობს სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის გაანალიზებასა და განსაზღვრას. პოლიტიკური მეცნიერების გარდა, საერთაშორისო ურთიერთობებს შეხება აქვს ისეთ განსხვავებულ მეცნიერებებთან, როგორებიცაა: ეკონომიკა, სოციოლოგია, ანთროპოლოგია, ფსიქოლოგია და კულტუროლოგია[1].

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ურთიერთობები არსებობს უძველესი დროიდან, ტერმინი წარმოჩნდა არც ისე თუ დიდი ხანია - ის თქვა ინგლისელმა ფილოსოფოსმა ჯ. ბენტანმა, განსაზღვრულია, რომ მათ

[1] https://ka.m.wikipedia.org/wiki/საერთაშორისო_ურთიერთობები

პრიორიტეტად წარმოაჩინონ დიდი ეროვნული სახელმწიფოების ურთიერთობები, რომელთა ძირითადი ნაწილი პოლიტიკური თეორიებია.[2]

საერთაშორისო ურთიერთობები ხასიათდება თავისებური ნიშნებით, მას აქვს თეორიები რომლის განხილვაც საჭიროა წინამდებარე ნაშრომისათვის.

თეორიის როლს და საჭიროებას საერთაშორისო ურთიერთობებში ხშირად ეჭვის ქვეშ აყენებენ, განსაკუთრებით პრაქტიკოსები და სახელმწიფო მოხელეები. მიუხედავად ამისა, თეორიას აქვს თავისი ადგილი და დატვირთვა საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენების შესწავლის და განჭვრიტვის საქმეში. თეორიის არსებობის აუცილებლობაზე და მნიშვნელობაზე ბევრი ნაშრომია დაწერილი. ერთ-ერთი მათგანი განსაკუთრებულად მარტივი და ამავდროულად დამაჯერებელი ენით გადმოსცემს თეორიის საჭიროებას და მოხმარებას საერთაშორისო ურთიერთობებში. ეს არის ჩიკაგოს უნივერსიტეტის საყოველთაოდ სახელგანთქმული პოლიტიკური მეცნიერის, სტივენ ვოლტის სტატია ,,საერთაშორისო ურთიერთობები: ერთი მსოფლიო, ბევრი თეორია", რომელიც 1998 წელს დაიბეჭდა აკადემიურ ჟურნალ საგარეო პოლიტიკაში[3].

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები შეიძლება უხეშად დავყოთ ორ ეპისტემოლოგიურ ბანაკად: „**პოზიტივისტურ**" და „**პოსტ-პოზიტივისტურ**" მიდგომებად[4]. **პოზიტივისტური თეორიები** მიდრეკილნი არიან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მეთოდების გამოყენებისკენ, აკეთებენ რა მატერიალური ძალების ანალიზს. ძირითადად ისინი ეხებიან საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ისეთ ასპექტებს, როგორებიცაა: სახელმწიფო ურთიერთობები, სამხედრო ძალთა, სიძლიერე, ძალთა ბალანსი და ა. შ. **პოსტ-პოზიტივისტური ეპისტემოლოგია** უარყოფს იდეას, რომ სოციალური მოვლენები შეიძლება შევისწავლოთ ობიექტური და ნებელობისგან დამოუკიდებელი გზებით. ის უარყოფს ნეორეალიზმის/ლიბერალიზმის ცენტრალურ იდეებს, როგორიცაა, მაგალითად, რაციონალური არჩევანის თეორია. მეცნიერული მეთოდები შეუსაბამოა საზოგადოებრივი ცხოვრების აღსაწერად და შესასწავლად. XX საუკუნის 80-იან და

---

[2] https://ru.m.wikipedia.org/wiki/международные_отношения

[3] საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა, თეორიის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში, ხელმისაწვდომია www.nplg.gov.ge

[4] გურამ ჯოლია, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი", თბილისი 2015, გვ 45-47

90-იან წლებში პოზივისტურსა და პოსტპოზიტივისტურ მიდგომებს შორის დებატები ცნობილია მესამე „დიდი დებატების“ სახელით[5].

ეტაპობრივად განვიხილოთ თითოეული თეორია, დავიწყოთ **პოზიტივისტური თეორიებიდან. ესენია: ლიბერალიზმი, ნეოლიბერალიზმი, იდეალიზმი და რეალიზმი** თავისი სახეებით[6].

ლიბერალიზმის აღმავლობა დაკავშირებულია პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდთან,როგორც პასუხი სახელმწიფოების უმოქმედობაზე ომის წინააღმდეგ საერთაშორისო ურთიერთობებში. ადრეული მიმდევრები ვუდრო ვილსონი და ნორმან ენჯელი ომს მიიჩნევდნენ აბსოლუტურად უსარგებლოს მისი ყველა მონაწილისთვის. მათი აზრით, სახელმწიფოები თანამშრომლობის დროს მეტს იგებენ, ვიდრე მაშინ, როდესაც ერთმანეთში ომობენ.

ნეოლიბერალიზმი აღიარებს სახელმწიფოთა განსაკუთრებულ როლს საერთაშორისო ურთიერთობებში, მაგრამ ამასთანავე მიუთითებს არასამთავრობო აქტორებისა და ინტერნაციონალური ორგანიზაციების როლზეც. ნეოლიბერალიზმის ერთ-ერთი აპოლოგეტი ჯოზეფ ნაი თვლის, რომ სახელმწიფოები ერთიანდებიან აბსოლუტური მოგების მიღების მიზნით. ნეოლიბერალიზმი საუბრობს სახელმწიფოს როლზე თავისუფალ ბაზრებზე მონოპოლიების ჩამოყალიბების წინააღმდეგ.

რეალიზმი იყო პასუხი ლიბერალიზმზე, რომლის ამოსავალი დებულება მდგომარეობდა იმაში, რომ სახელმწიფოები არ ცდილობენ თანამშრომლობას. ადრეული რეალისტები ედვარდ ქარი და ჰანს მორგენთაუ მიიჩნევდნენ, რომ საკუთარ უსაფრთხოებაზე ზრუნვის გამო სახელმწიფოები არიან ეგოისტური, რაციონალური აქტორები, რომლებიც ისწრაფვიან ძალაუფლებისკენ. ნებისმიერი სახის თანამშრომლობა ქვეყნებს შორის აღიქმება, როგორც შემთხვევითი. რეალისტებისთვის მეორე მსოფლიო ომი იყო მათი იდეების ერთგვარი დადასტურება.

ნეორეალიზმი განავითარა კენეტ უოლცმა, რომელიც მას უწოდებდა „სტრუქტურულ რეალიზმს“. უოლცი რეალიზმის ემპირიული დაკვირვების მეთოდის

[5] https://ka.m.wikipedia.erg/wiki/საერთაშორისო_ურთიერთობები
[6] https://ka.m.wikipedia.erg/wiki/საერთაშორისო_ურთიერთობები

შენარჩუნებით, საერთაშორისო ურთიერთობებს განსაზღვრავს, როგორც ანტაგონისტურ სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებს. იგი მიიჩნევს, რომ სისტემის ხასიათს განაპირობებს მისი ანარქიულობა. სახელმწიფოები ხელმძღვანელობენ ფარდობითი მოგებით და იცავენ „ძალთა წონასწორობას“.

საერთაშორისო საზოგადოების თეორია, ან როგორც მას უწოდებენ ინგლისური სკოლა, აქცენტს აკეთებს სახელმწიფოების საერთო ღირებულებებზე, როგორც არეგულირებენ ისინი მათი გამოყენებით საერთაშორისო ურთიერთობებს. ამგვარი ნორმების მაგალითებია: დიპლომატია, წესრიგი, საერთაშორისო სამართალი.

მარქსისტული და **ნეომარქსისტული** საერთაშორისო ურთიერთობის თეორიები უარყოფენ რეალისტურ/ლიბერალურ წარმოდგენებს სახელმწიფოებს შორის კონფლიქტსა და თანამშრომლობაზე. ისინი, ნაცვლად ამისა, ყურადღებას ამახვილებენ ეკონომიკურ და მატერიალისტურ ასპექტებზე.

მარქსიზმის მიხედვით საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო დამყარებულია ეკონომიკაზე. მარქსისტები საერთაშორისო სისტემას უყურებენ, როგორც ინტეგრირებულ კაპიტალისტურ სისტემას, რომელიც მიმართულია კაპიტალის დაგროვებისკენ. ამგვარად, კოლონიალიზმის პერიოდმა მოიტანა გასაღების ბაზრები და ნედლეულის წყარო, დეკოლონიალიზმმა კი ამ ყველაფერს ახალი, დამოკიდებულების ფორმა მისცა.

მარქსისტულ თეორიასთან მჭიდროდაა დაკავშირებული დამოკიდებულების თეორია, რომლის მიხედვით განვითარებული ქვეყნები ცდილობენ შეაღწიონ განვითარებად სახელმწიფოებში პოლიტიკური მრჩევლების, მისიონერების ექსპერტების, მულტინაციონალური კორპორაციების მეშვეობით. მათი მიზანია განვითარებადი ქვეყნების ინტეგრაცია ერთიან კაპიტალისტურ სივცრებში, რათა ხელი შეუწყონ ღარიბი ქვეყნების დამოკიდებულებას მდიდარ ქვეყნებზე.

მარქსისტული თეორიები შეერთებულ შტატებში პოპულარული არ არის, ის დამახასიათებელია უფრო კონტინენტური ევროპისთვის. ასევე პოპულარულია ლათინურ ამერიკაშიც, ლიბერაციონალური თეოლოგიის სახით.

საერთაშორისო ურთიერთობებს აქვს თავისი ტერმინოლოგია, რომელიც თავისებურად ხასიათდება და განისაზღვრება. საინტერესო და გასაგები, რომ გახდეს წინამდებარე ნაშრომი, შევეცადოთ ავხსნათ ტერმინები და გასაგები გავხადოთ.

ცნება **ძალა** შეიძლება განვსაზღვროთ რესურსების, შესაძლებლობებისა და გავლენის ხარისხით საერთაშორისო ურთიერთობებში. ტრადიციულად გამოყოფენ ორი სახის ძალას: ხისტ ძალასა და რბილ ძალას. „ხისტ ძალაში“ იგულისხმება პირდაპირი ძალადობის საშუალებები, მაგალითად არმია. „რბილი ძალა“ ესაა ეკონომიკური, კულტურული და დიპლომატიური გავლენის აღმნიშვნელი სიდიდე. საბოლოოდ, მაინც არ არსებობს მკაფიო გამყოფი ხაზი ამ ორი სახის ძალას შორის[7].

პოლარობა აღნიშნავს ძალთა განაწილებას საერთაშორისო სისტემაში. კონცეფცია წარმოიშვა ცივი ომის პერიოდში, როდესაც არსებობდა ბიპოლარული სისტემა, ანუ დაპირისპირება ორ სუპერსახელმწიფოს შორის. შესაბამისად, 1945 წლამდე საერთაშორისო სისტემა შეიძლება აღიწეროს, როგორც მულტი-პოლარული, ძალთა განაწილებით დიდ ქვეყნებს შორის. 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიო გახდა უნი-პოლარული. აშშ დარჩა ერთადერთ სუპერსახელმწიფოდ.

ძალთა ბალანსი არის კონცეფცია, რომელიც შეესაბამება ევროპის პოლიტიკურ სისტემას პირველ მსოფლიო ომამდე. ძალთა ბალანსი გულისხმობს ძალთა გაერთიანებით (ბლოკებით) ომის თავიდან აცილებას და სისტემის შენარჩუნებას.

ძალთა გადასვლის თეორიის მიხედვით, უძლიერესი ქვეყანა გამოიწვევს ჰეგემონს რაღაც პერიოდის შემდეგ, რაც საბოლოოდ ომით დასრულდება.

ბევრი თვლის, რომ თანამედროვე საერთაშორისო სისტემა ყველაზე მეტად **„ურთიერთდამოკიდებულების“** ცნებით შეიძლება დავახასიათოთ. გლობალიზაციის ფონზე სულ უფრო მეტად იზრდება ეკონომიკური ურთიერთობები. საერთაშორისო ორგანიზაციების როლი და უამრავი სამოქმედო პრინციპის საყოველთაო აღიარება აძლიერებს ურთიერთდამოკიდებულების იდეას.

დამოკიდებულების თეორია ძირითადად ასოცირდება მარქსიზმთან. ამ თეორიის მიხედვით, ბირთვის სახელმწიფოები ექსპლუატაციას უწევენ პერიფერიის სახელმწიფოებს. კლასიკური გაგებით ეს გარდაუვალია,ხოლო ნეომარქსისტების მიხედვით კი ცვლილების მოხდენაა აუცილებელი.

ასევე გვაქვს საერთაშორისო ურთერთობებისს მეცნიერებაში სისტემური საშუალებები რომლებიცაა:

დიპლომატია არის კომუნიკაციებისა და მოლაპარაკებების პრაქტიკა სახელმწიფოების წარმომადგენლებს შორის. საერთაშორისო ურთიერთობების სხვა იარაღების ამოქმედება შეიძლება მივიჩნიოთ დიპლომატიური ურთიერთობების ჩავარდნად[8].

სანქციები არის დიპლომატიის კრახის შემდეგ ყველაზე ხშირად გამოყენებული იარაღი. ეს შეიძლება იყოს დიპლომატიური ან ეკონომიკური სანქციები, რაც შეიძლება გამოიხატოს კომუნიკაციების საშუალებების განადგურებით, ბარიერების დაწესებით და ა. შ.

ომი, სამხედრო ძალის გამოყენება, საერთაშორისო ურთიერთობების უკიდურესი საშუალება. კლაუზევიცის სიტყვებით, „ომი პოლიტიკის გაგრძელებაა სხვა საშუალებებით“. ომის შესწავლა საერთაშორისო ურთიერთობებში „სამხედრო საქმისა“ და „სტრატეგიის“ ცოდნითაა შესაძლებელი.

საერთაშორისო დაგმობა შეიძლება ასევე ჩაითვალოს საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთ საშუალებად. ესაა საერთაშორისო დონეზე რომელიმე ქვეყნის ქმედებების დაგმობა.

გვაქვს ერთეული დონის ცნებები, რომლებიც ეხება არა საერთაშორისო სისტემას, არამედ სახელმწიფოს.

რეჟიმის ტიპი. ხშირად მიიჩნევა, რომ სახელმწიფოს რეჟიმის ტიპი განსაზღვრავს მისი სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობების ხასიათს.

დემოკრატიული მშვიდობის თეორიის მიხედვით, დემოკრატიული სახელმწიფოების ხასიათი განსაზღვრავს მათ მშვიდობიან თანაცხოვრებას. ამ

---

[7] https://ka.m.wikipedia.erg/wiki/საერთაშორისო_ურთიერთობები

[8] Колектив авторав, дипломатия, [эл-версия]

თეორიის მიმდევრები ამბობენ, რომ დემოკრატიული სახელწიფოები საგარეო ასპარეზზეც ხელმძღვანელობენ დემოკრატიული ნორმებით. დემოკრატია ხელს უწყობს ორმხრივ ნდობასა და პატივისცემას.

კომუნიზმის მიხედვით, რევოლუცია უნდა განხორციელდეს მთელ მსოფლიოში და მშვიდობიანი თანაცხოვრება დამკვიდრდება პროლეტარიატის დიქტატურის შედეგად.

შესაძლებელი სახელმწიფოები დავაჯგუფოთ ორ ტიპად: პირველი, რომლებიც აღიარებენ საერთაშორისო **სტატუს ქვოს**[9] და მეორენი, რომელთაც სურთ მისი **რევიზია**, გადასინჯვა. რევიზიონისტ სახელმწიფოებს სურთ საერთაშორისო წესებისა და პრაქტიკის ფუნდამენტური შეცვლა. ისინი თანამედროვე საერთაშორისო სისტემას უყურებენ, როგორც დასავლეთის პირმშოს, რომელიც ამაგრებს არსებულ რეალობას. იაპონია არის სახელმწიფო, რომელიც რევიზიონისტულიდან გახდა სტატუს ქვოს მხარდამჭერი. ეს უკანასკნელი ამ ეტაპზე უფრო მომგებიანი მისთვის.

ხშირად მიიჩნევენ, რომ **რელიგიის** ფაქტორმაც შეიძლება განსაზღვროს ქვეყნებს შორის ურთიერთობები. რელიგია არის მომწესრიგებელი სისტემა ისლამურ ქვეყნებში, მაშინ როდესაც დასავლეთი არის სეკულარიზილებული და ლიბერალური ტრადიციით ერთმანეთს დაშორებულია სახელმწიფო და რელიგია. მაგრამ ეს პრობლემა საქართველოსთვის გადაჭრილია, არსებობს შეთანხმება კონკორდატი, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, საქართველო ტოლერანტული სახელმწიფოა.

სახელმწიფოზე უფრო ქვედა, ინდივიდუალური დონის ცნებები გვეხმარება ბევრი საკითხის ახსნაში საერთაშორისო ურთიერთობებში.

ფსიქოლოგიური ფაქტორი საერთაშორისო ურთიერთობებში მომდინარეობს სახელმწიფოს, როგორც „შავი ყუთის“ რეალისტური ხედვის საპირისპირო გაგებიდან, იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს სხვა, დაფარული გავლენებიც ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე. პერსონების როლის შესწავლა

---

[9] АКАДЕМИЯ УПРАВЛЕНИЯ ПРИ ПРЕЗИДЕНТЕ РЕСПУБЛИКИ БЕЛАРУСЬ, УТВЕРЖДЕНО, Проректором по учебной работе, УЧЕБНАЯ ПРОГРАММА ПО ДИСЦИПЛИНЕ МЕЖДУНАРОДНОЕ, ДИПЛОМАТИЧЕСКОЕ И КОНСУЛЬСКОЕ ПРАВО [эл-версия]

გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეიძლება გარკვეული მოვლენების ახსნაში გამოგვადგეს კიდეც.

ბიუროკრატიული პოლიტიკა ყურადღებას ამახვილებს ბიუროკრატიის როლზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

არ იქნება ურიგო თუ ცოტას საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტებზეც ვისაუბრებთ. საერთაშორისო ინსტიტუტები საერთაშორისო ურთიერთობების „ცოცხალი“ ნაწილია.

კაცობრიობა შედის ცივილიზაციის განვითარების პლანეტარულ ფაზაში. ამიტომ ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ სუვერენული ქვეყნების სისტემა ჩანაცვლდება საერთაშორისო ინსტიტუტების იერარქიით.

ამით ჩვენ განვიხილეთ საერთაშორისო ურთიერთობების ცნება მნიშვნელობა და არსი. ქვეთავის ბოლოს კი ვისაუბროთ საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტებზე. აქვე გვინდა ვთქვათ, რომ ჩვენის აზრით, საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობა იდენტური ტერმინებია, რადგანაც ურთიერთობა სამართლიდან გამომდინარეობს, სამართალი კი ნორმების ერთობლიობაა, ურთიერთობა ნორმების გარეშე, ეს დაწერილი იქნება თუ დაუწერელი, შეუძლებელია.

საერთაშორისო ურიერთობის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება ისაა, რომ იგი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობაა, ე.ი. მისი ძირითადი სუბიექტები სახელმწიფოებია.

საერთაშორისო ურთიერთობის სპეციფიკა განაპირობებს სუბიექტის ცნების თავისებურებასაც - საერთაშორისო ურთიერთობის სუბიექტი, სამართლის სხვა დარგების სუბიექტებისაგან განსხვავებით, არის სამართლებრივი ურთიერთობის ისეთი მონაწილე, რომელიც არა მარტო ფლობს საერთაშაორისო სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს, არამედ ურთიერთობის სხვა მონაწილეებთან ერთად თვითონ ქმნის ამ ნორმებს და უზრუნველყოფს მათ შესრულებას. მხოლოდ სახელმწიფოებს აქვთ სრული უფლებაუნარიანობა. იგი ეყრდნობა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის

საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს, ნორმებს[10] და პრაქტიკულად უსაზღვროა, თუკი სახელმწიფოს საქმიანობა არ ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნულ ძირითად პრინციპებს. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი გარკვული მოცულობით, სუბიექტად ცნობს აგრეთვე თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხს.

§ 2. საერთაშორისო ურთიერთობის ისტორია

საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში საკვანძო მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს 1648 წლის ვესტფალიის ზავი, საიდანაც დაიწყო თანამედროვე პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება. მანამდე ევროპული შუასაუკუნებრივი პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაცია დამყარებული იყო ბუნდოვნად განსაზღვრულ რელიგიურ იერარქიაზე. ვესტფალიის ზავმა დააფუძნა სუვერენიტეტის

ცნება, რომელიც არსებითად ნიშნავდა იმას, რომ სახელმწიფოს მმართველი არ აღიარებდა თავისზე მაღალ ან თავის სწორ ხელისუფალს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთაც. კლასიკური ბერძენი ან რომაელი ხელისუფლის ტიპი ვესტფალიის სისტემის ჩარჩოში შეიძლება ჯდებოდეს კიდეც, მაგრამ იგი აშკარად მოკლებულია სუვერენიტეტს. ვესტფალიის ზავმა ხელი შეუწყო ერი-სახელმწიფოს აღმავლობას, დიპლომატიისა და არმიის ინსტიტუციონალიზაციას. ეს განსაკუთრებული ევროპული სისტემა კოლონიალიზმის შედეგად გავრცელდა სხვა კონტინენტებზეც. თანამედროვე საერთაშორისო სისტემა საბოლოოდ ჩამოყალიბდა დეკოლონიზაციის შემდეგ, ცივი ომის პერიოდში. მიუხედავად ამისა, სისტემის ცნება მაინც გამარტივებულია. მაშინ როდესაც ერი-სახელმწიფოების სისტემა მიჩნეულია „მოდერნულად“, არსებობს ქვეყნები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან მას და იწოდებიან „პრე-მოდერნულად“. ამასთანავე ერთეულ ქვეყნებს შეიძლება ვუწოდოთ „პოსტ-მოდერნულიც“[11].

საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც აკადემიური დისციპლინის ჩამოყალიბება დიდად განაპირობა XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს დაპირისპირებულ ბანაკებად დაყოფამ და 1914 წელს პირველი მსოფლიო ომის

[10] იხ. საყოველთაო საერთაშორისო სამართალი

[11] https://ka.m.wikipedia.erg/wiki/საერთაშორისო_ურთიერთობები

გაჩაღებამ. ჩამოყალიბებისთანავე საერთაშორისო ურთიერთობები განვითარდა კონკრეტული იდეოლოგიური მიმართულებით და მისი ხედვა აიგო ერთი თეორიის - იდეალიზმის საფუძველზე. პირველი მსოფლიო ომით გამოწვეული დიდძალი მსხვერპლის შედეგად მსოფლიოში მომწიფდა შეხედულება, რომ აუცილებელად უნდა შესწავლილიყო ომის გამომწვევი მიზეზები, რათა მომავალში თავიდან აეცილებინათ მსგავსი დამანგრეველი მოვლენები. სწორედ იდეალიზმი გახდა ის იდეოლოგია, რომლის პრინციპებზე დაყრდნობითაც მომავალში კაცობრიობას უნდა შეძლებოდა ამ დამანგრეველი ფენომენის თავიდან აცილება[12].

აღსანიშნავია, რომ პირველ მსოფლიო ომამდე საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც სამეცნიერო დისციპლინა არ არსებობდა და მის ფუნქციებს ძირითადად სამართალი და ისტორია ითავსებდა. ძირითადად ისტორიკოსები, უფრო ზუსტად კი, დიპლომატიის ისტორიკოსები იყვნენ დაკავებულნი სხვადასხვა ისტორიული ფაქტების ანალიზით, თუმცა, ამ ფაქტების განზოგადებასა და დასკვნების გამოტანაზე არავინ ფიქრობდა. ასევე აღსანიშნავია, პუბლიცისტიკის და ჟურნალისტების როლი; აქ შეგვიძლია გავიხსენოთ აინშტაინის სტატია, რომელიც პირველი მსოფლიო ომის წინ გამოქვეყნდა ამერიკაში, სადაც ავტორი მოუწოდებდა ამერიკის მთავრობას ყურადღება მიექცია ევროპაში მიმდინარე მოვლენებისათვის და არ გაეგრძელებინა იზოლაციონისტური პოლიტიკა.

იმისათვის, რომ კარგად მივხვდეთ რა თეორიული ფონი იყო შექმნილი პირველი მსოფლიო ომის დროინდელ ევროპაში, საკმარისია გავიხსენოთ კარლ ფონ კლაუზევიცის სიტყვები - „ომი დიპლომატიის უფრო ძლიერი ფორმაა, ხოლო საბრძოლო ასპარეზი მოლაპარაკებების კონფერენციის გაგრძელება“. აქედან ჩანს, რომ ომი სულ უფრო და უფრო ხშირად გამოიყენებოდა როგორც ინსტრუმენტი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მიხვდნენ წამყვანი ქვეყნების პოლიტიკური ელიტები, რომ ომის შედეგად მიღებული სიტუაცია არ შეიძლებოდა ყოფილიყო არავისთვის მომგებიანი[13]. ამ პერიოდში მოღვაწე სპეციალისტების მიერ ომი აღქმულ იქნა როგორც ტრაგედია, რადგან

---

[12] ეკა აკობია, საერთაშორისო ურთიერთობის თეორია, სალექციო კურსი სოციალური მეცნიერების მაგისტრატურისთვის, თბილისი 2006, [ელ-ვერსია]

[13] საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა, საერთაშორისო ურთიერთობების,როგორც სამეცნიერო დისციპლინის ჩამოყალიბება, [ელ-ვერსია] ხწლმისაწვდომია www.nplg.gov.ge

პირველმა მსოფლიო ომმა მოიტანა უამრავი მსხვერპლი. ზოგიერთ ბრძოლებში 100 000-ზე მეტი ადამიანიც კი დაღუპულა. ამის გამართლება არ არსებობდა. დიკინსონი ამბობდა, რომ ,,ომი არ არის ადამიანის ბუნების გარდაუვალი შედეგი, ის ბუნების გარკვეული პირობებში გამოვლენაა," ხოლო არნოლდ ტოინბიმ ომს ,,კაცობრიობის მომაკვდინებელი სენი" უწოდა.

იდეალიზმი გახდა ერთგვარი პასუხი კითხვაზე, თუ რატომ ხდება ომი? რატომ განაგრძობდნენ ომს ქვეყნები მაშინ, როდესაც ამდენი მსხვერპლის გათვალისწინებით ომიდან შემოსული მოგება სულ უფრო მცირდებოდა.

ამ კითხვებზე პასუხი საერთაშორისო ურთიერთობების ფარგლებში დიდად იყო დაფუძნებული ორ ომს შორის გაბატონებულ ტრადიციაზე, რომელიც ლიბერალური იდეალიზმის სახელითაა ცნობილი. ამ ტრადიციის მიხედვით, საჭირო იყო ძალთა ბალანსის და ალიანსების სისტემის შეცვლა.

თავდაპირველად საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც განსაზღვრული დისციპლინა, იყო აბსოლუტურად ბრიტანო-ცენტრული. 1919 წელს საერთაშორისო ურთიერთობების კათედრა დაარსდა უელსის უნივერსიტეტში, აბერისთვითში, დევიდ დეივისის ფინანსური მხარდაჭერით. 20-იანი წლების დასაწყისში ნობელის პრემიის ლაურეატის ფილიპ ნოელ-ბეიკერის ინიციატივით, ლონდონის ეკონომიკურ სკოლაში ჩამოყალიბდა საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი. 1927 წელს კი ჟენევაში დაარსდა პირველი უნივერსიტეტი, რომელიც მთლიანად ეძღვნებოდა საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლას. მისი მიზანი იყო ერთა ლიგისთვის სპეციალისტების მომზადება. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელი სკოლები დაარსდა აზიასა და სამხრეთ ამერიკაშიც, დისციპლინის აკადემიურ ცენტრად მაინც ითვლება ევროპა და ჩრდილოეთ ამერიკა.

§ 3. საერთაშორისო ურთიერთობა და საქართველო

საქართველოში ოდითგანვე იყო, არის და იარსებებს საერთაშორისო ურთიერთობები. თუნდაც იქედან დავიწყოთ ბერძენი არგონავტები, რომ

შემოვიდნენ საქართველოში, გარდა ამისა ვაჭრობდნენ სხვადასხვა ქვეყნებში. მე-20 საუკუნემდე საერთაშორისო ურთიერთობაში მაინც რელიგია დომინირებდა და უფრო ერთმორწმუნე ხალხთან ჰქონდათ მეგობრული ურთიერთობა[14]. ისტორიული თვალსაზრისით განსახილველია საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკა[15] და ურთიერთობა ერთა ლიგასთან.

1918-21 წლების საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკაში უმნიშვნელოვანესია ურთიერთობები „ერთა ლიგასთან". „ერთა ლიგა", რომლის „შვილობილ" ორგანიზაციასაც წარმოადგენს გაერო შეიქმნა 1919 წელს[16]. ეს იყო პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა და რომლის მიზანიც იყო მოეხდინა ერების კონსოლიდაცია საერთაშორისო მშვიდობის მისაღწევად, ყალიბდება ერთიანი საერთაშორისო ურთიერთობების ნორმები, რომლის შესრულებაც წევრ ქვეყნებს ევალებათ.

ამ პერიოდის საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავარი საგარეო სექტორი[17] მიმართული იყო ევროპის ქვეყნებთან დაახლოვებისკენ. საქართველო ჯერ კიდევ არ წარმოადგენს მკვეთრად გამოყოფილ საერთაშორისო სუბიექტს, ამიტომ უკვე ვერსალის კონფერენციის დაწყებიდანვე ევროპაში იმყოფება ქართული დელეგაცია თავდაპირველად კარლო ჩხეიძის მეთაურობით. მათი მიზანია საერთაშორისო საზოგადოების დარწმუნება საქართველოს დე-იურე აღიარებაში.

ამას გრდა საქართველომ მთელი თავისი ძალისხმევა მიმართა იქითკენ, რომ გამხდარიყო „ერთა ლიგის" წევრი, ორგანიზაციისა, სადაც დიდი და მცირე ქვეყნები თანასწორობის პრინციპით ერთიანდებოდნენ და რომელიც უნდა გამხდარიყო საქართველოს სუვერენიტეტის გარანტი.

პირველი ოფიციალური მიმართვა „ერთა ლიგისადმი" ორგანიზაციაში გაერთიანებასთან დაკავშირებით საქართველოს მხრიდან მოხდა 1919 წლის მაისში, იმავე წლის დეკემბერში კი უკვე შეიქმნა ერთა ლიგის საქართველოს

---

[14] საქართველოს ისტორია 4 ტომად (ძველი წელთა აღრიცხვა I ტომი) - თბილისი 2012, გვ. 96-99

[15] იხ. 1921 წლის 21 თებერვლის საქართველოს კონსტიტუცია

[16] გოჩა საითიძე- პირველი უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია ერთა ლიგა და დამოუკიდებელი საქართველო 1919-21 წ.წ. „უნივერსალი" თბილისი 2010 , გვ. 21-22

[17] საქართველოს ისტორია : XX საუკუნე; - გამომცემლობა „არტანუჯი" - თბილისი 2003, გვ 47-48

ასოციაცია, რომელიც პირდაპირ კავშირებს ამყარებდა ერთა ლიგასთან არსებულ გარკვეულ წრეებთან.

1920 წლის შუა ხანებიდან ქართული დიპლომატიური მისიები მოსამზადებელ სამუშაოებს ასრულებენ, რათა „ერთა ლიგის“ პირველი სესიისთვის, რომელიც ნოემბერში ჟენევაში უნდა გამართულიყო, რაც შეიძლება მეტი ქვეყნის მხარდაჭერა მიეღოთ. სწორედ ამ სესიაზე უნდა გადაწყვეტილიყო საქართველოს ერთა ლიგაში მიღება-არ მიღების საკითხი. იმავე პერიოდში საქართველოს ხელისუფლების მანდატით ზურაბ ავალიშვილმა მოამზადა ერთა ლიგის სესიაზე წარსადგენი მემორანდუმი, სადაც აღნიშნული იყო თუ რატომ უნდა გაწევრიანებულიყო საქართველო ერთა ლიგაში. მემორანდუმში მითითებული იყო: „საქართველოს აქვს უნარი გახდეს მნიშვნელოვანი წევრი ორგანიზაციისა“, „შეუძლია გავლენა მოახდინოს სხვადასხვა გართულებულ მოვლენებზე“, „ამიერკავკასია და კერძოდ, საქართველო უცხოელთა ბატონობისგან განთავისუფლებული, გამოადგება ლიგას დასაყრდენ საფუძვლად აღმოსავლეთში“. მნიშვნელოვანია ის რომ ქართველი პოლიტიკოსები აღნიშნავდენენ იმასაც, რომ სარგებელი ორმხრივი იქნებოდა - ხაზს უსვამდნენ რა საქართველოს გეოპოლიტიკური მდებერეობის უნიკალურობას. თავის მხრივ ერთა ლიგასაც ჰქონდა ჩამოყალიბებული ორგანიზაციაში სახელმწიფოთა მიღების კრიტერიუმები, წესდების პირველივე მუხლი იუწყებოდა: „ ლიგის წევრი შეიძლება გახდეს ის სახელმწიფო, დომინიონი ან კოლონია, ვისაც მხარს დაუჭერს წევრ სახელმწიფოთა 2/3“, გარდა ამისა არსებობდა კიდევ 4 მოთხოვნა:

1) სახელმწიფოს უნდა შეეძლოს მის მიერ ნაკისრი ყველა ინტერნაციონალური ვალდებულების შესრულება.

2) სახელმწიფოს უნდა ჰყავდეს პასუხისმგებელი მთავრობა რომელიც ვალდებულებას თავად იკისრებს.

3) სახელმწიფო ისე უნდა იყოს მოწესრიგებული, რომ მის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა აღსრულებაში ერთა ლიგა დარწმუნებული იყოს.

4) სახელმწიფოს უნდა ჰქონდს საზღვრებით შემოფარგლული ტერიტორია და ამ საზღვრებში მცხოვრები მოსახლეობა ერთი ქვეყნის მოქალაქეებს უნდა წარმოადგენდნენ.

ერთა ლიგის სესიამდე 1920 წლის სექტემბერში მილანში გაიმართა ერთა ლიის ასოციაციათა IV კონგრესი, რომელშიც თავდაპირველად არაოფიციალურად მონაწილეობდა საქართველოს წარმომადგენელი ნ. ჯაყელი. მილანში მოვლენები ისე განვითარდა, რომ საქართველოს ერთა ლიგის ასოციაცია „არაოფიციალურ ეროვნებათა ლიგის“ სრულუფლებიანი წევრი გახდა. შემდეგში ჯაყელი იხსენებდა „საქართველოს ყველამ დაუჭირა მხარი გარდა რუსეთის წარმომადგენლის ბ-ნი ავქსენტიევისა“.

ჟენევის სესიამდე საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ იმსჯელა საქართველოს ერთა ლიგაში შესვლასთან დაკავშირებით. უნდა ითქვას, რომ დეპუტატების აბსოლიტური უმრავლესობა ემხრობოდა საქართველოს გაწევრიანებას საერთაშორისო ორგანიზაციაში, ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენდნენ სოციალისტ-ფედერალისტები, ისინი ფიქრობდნენ, რომ ერთა ლიგა წარმოადგენს ისეთ ორგანიზაციას რომელსაც პრეტენზია ექნებოდა მთლი ქვეყნის საქმეების მოწყობაზე, ისინი სკეპტიკურად უყურებდნენ საქართველოს მომავალს ამ ორგანიზაციაში[18].

1920 წლის 15 ნოემბერს ჟენევაში მუშობას შეუდგა ერთა ლიგის პირველი სასესიო კრება სადაც სხვა მნიშვენელოვან თემებთან ერთად საქართველოს და სხვა ქვეყნების ორგანიზაციაში გაწევრიანების საკითხი უნდა განეხილათ. საფუძვლიანი განხილვის შედეგად გადაწყდა, რომ საქართველო და ბალტიის სახელმწიფოების საკითხი 16 დეკემბერს უნდა განეხილათ. 16 დეკემბერს ჟენევაში საგანგებოდ შექმნილმა მე-5 კომისიამ განაახლა მუშაობა, მისი შემადგენლობა 36 წევრით განისაზღვრა და ჩილილი ანტონიო ჰონელუსი ხელმძღვანელობდა. საქართველოს საკითხი 16 დეკემბერს საღამოს უნდა განხილულიყო მანამდე კი სომხეთს, ლიტვას, ლატვიას და ესტონეთს უთხრეს გაწევრიანებაზე უარი, თანხმობა კი შემდეგმა სახელმწიფოებმა მიიღს: ავსტრია, ბულგარეთი, ფინეთი, კოსტა-რიკა და ლუქსენბურგი. საქართველოს საკითხის განხილვამდე მნიშვნელოვანი იყო საფრანგეთის წარმომადგენლის ვივიანის მოხსენება, რომელმაც აღნიშნა რუსეთის ფაქტორი და მისი ინტერესები საქართველოსთან მიმართებაში. დღის ბოლოს კენჭი უყარეს საქართველოსაც, სულ კენჭისყრაში მონაწილეობა 24-მა სახელმწიფომ

[18] ზურაბ ავალიშვილი - საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში - თბილისი : ნიამორი , 1990, გვ. 56

მიიღო, საქართველოს გასაწევრიანებლად 14 ხმა საკმარისი იქნებოდა, თუმცა საბოლოო შედეგით საქართველოს 10 მომხრე აღმოაჩნდა 14-ის წინააღმდეგ. საქართველოს სასარგებლოდ ხმა მისცეს: სამხრეთ აფრიკამ, კოლუმბიამ, იტალიამ შვეიცარიამ, ჩილემ, პორტუგალიამ. წინააღმდეგი იყვნენ: ავსტრალია, კუბა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ესპანეთი. საქართველოს მიღებას „ერთა ლიგაში" განსაკუთრებით ითხოვდნენ: კოლუმბიის დელეგატი რესტრეპო „საქართველოს არ მიღება ლიგის სისუსტის დამადასტურებელი იქნება"- აღნიშნა მან, საქართველოს მიღებას ენერგიულად მოითხოვდნენ აგრეთვე სპარსეთის დელეგატი ზოკა ედ დაულე და პორტუგალიის წარმომადგენელი შაგასი.

რა იყო მიზეზი იმისა რომ საქართველო ერთა ლიგაში არ მიიღეს? ამის 2 ძირითადი მიზეზი არსებობდა 1) კავკასიის რეგიონის არასტაბილურობა და 2) რუსეთის ინტერესები ამ რეგიონისადმი. ამის გამოხატულება იყო კუბელი დელეგატის იგუეროს საუბარი ზურაბ ავალიშვლითან, რომელსაც აღუნიშნავს ევროპის წამყვანი სახელმწიფოების როლი და ის თუ რა პოზიციაზე იქნებოდნენ ისინი, ის აღნიშნავდა, რომ ინგლისმა და საფრანგეთმა უნდა გადაწყვიტონ ეს საკითხი, „მთავარია მათ ან თუნდაც ერთ ერთმა მათგანმა მოგცეთ ხმა, ჩვენ ყველანი შევუერთდებით მათ". ამგვარად ევროპის წამყვანმა სახელმწიფოებმა არ ისურვეს პატარა საქართველოს გამო დიდ რუსეთთან დაპირისპირება, მითუმეტეს, რომ საბჭოთა რუსეთი ძალებს იკრებდა. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოსთან ერთად უარი ეთქვა რუსეთის ინტერესებში მყოფ სომხეთს და ბალტიის ქვეყნებს. ამ კონფერენციიდან სულ რამდენიმე კვირაში საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ანექსირება მოახდინა. იმავე დეკემბერში კი სომხეთი გასაბჭოვდა[19].

1992 წლის ივლისში საქართველო გაეროს 179-ე წევრი გახდა, გაეროს ოფისი კი 1993 წლის დასაწყისში გაიხსნა[20].

საქართველო რადგანაც პატარა ქვეყანაა, მოგეხსენებათ სამხედრო ძალებითაც სუსტი, სულ მიილტვის მეგობრული ურთიერთობისაკენ საერთაშორისო ურთიერთობებში და საერთაშორისო სამართლით გადარჩენის იმედი აქვს.

---

[19] http://www.tabula.ge/ge/tablog/96369-saqartvelo-da-erta-liga-saertashoriso-organizaciebis-da-saqartvelos-urtiertobis

[20] www.ungeorgia.ge

საქართველო კანონმდებლობითაც მიიჩნევს საერთაშორისო სამართლის პრიმატს. უფრო მეტიც დამოუკიდებლობის აქტშიც[21] კი აქვს ჩაწერილი ეს. ეს ისეთი დოკუმენტია, რომელიც საჭიროებს ციტირებას:

„საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, ქართველმა ერმა მე-19 საუკუნეში დაკარგა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმების შედეგად. ქართველი ხალხი არასოდეს შეჰგუებია თავისუფლების დაკარგვას. 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღდგა საქართველოს გაუქმებული სახელმწიფოებრიობა. შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მრავალპარტიულობის საფუძველზე არჩეული ხელისუფლების წარმომადეგენლობითი ორგანოებითა და კონსტიტუციით.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა თავის მიერვე ცნობილი საქართველოს სახელმწიფოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია.

საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნებაყოფლობით არ შესულა, ხოლო მისი სახელმწიფოებრიობა დღესაც არსებობს, დამოუკიდებლობის აქტი და კონსტიტუცია დღესაც იურიდიული ძალის მქონეა, ვინაიდან დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია და განაგრძობდა მოღვაწეობას ემიგრაციაში.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით, რისი უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია.

1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭო ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, ადგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე.

---

[21] იხ. 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია. მის ტერიტორიაზე უზენაესია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და ხელისუფლება. ყოველი მოქმედება, მიმართული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვის ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ჩაითვლება სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად და აგრესიად, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად.

საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად.

საქართველოს რესპუბლიკა ისწრაფვის რა დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ყველა უფლებასა და თავისუფლებას, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტები და კონვენციები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ მტკიცედ დაიცავს სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა სრულად შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, ჰელსინკისა და ვენის აქტებს, რომლებიც აღიარებენ და განამტკიცებენ ყველა ხალხის უფლებას დამოუკიდებლად განაგოს თავისი ქვეყნის პოლიტიკური ბედი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იმედოვნებს, რომ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა არ დარჩება გულგრილი ქართველი ხალხის კანონიერი და სამართლიანი ნაბიჯისადმი და აღიარებს საქართველოს აღორძინებულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, რაც საქართველოს უშიშროების ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე გარანტია იქნება.“

გარდა ამისა საქართველოს კონსტიტუციის[22] მე-4 მუხლის მე-5 ნაწილში წერია, რომ „საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ“.

ამ ნორმას უმეტესი მეცნიერებისა სხვადასხვანაირად მარტავს. მაგრამ მისი სისწორე არის შემდეგი, საქართველოს კანონმდებლობა, რაც კი მთავრობამ, პარლამენტმა და თვითმართველმა ორგანოებმა მიიღეს, შეესაბამება საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ნორმებს, ანუ იმ პრინციპებსა, რომელიც გაერომ მიიღო და ასახა დეკლარაციაში[23]. ერთ-ერთია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია[24].

დაწვრილების საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებზე საუბარი გვექნება წინამდებარე ნაშრომის მე-3 თავში.

---

[22] იხ. 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია

[23]იხ. Декларация о принципах международного права, касающихся дружественных отношений и сотрудничества между государствами в соответствии с Уставом Организации Объединенных Наций, Принята резолюцией 2625 (XXV) Генеральной Ассамблеи ООН от 24 октября 1970 года

[24]იხ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მიღებული 1948 წლის 10 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ

თავი II. საქართველოს ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში

§ 1. საქართველო და გაერო

გაეროს მისიის ძირითადი ამოცანაა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულების კონტროლი. ჯავშანტრანსპორტიორებით ხდება ყოველდღიური პატრულირება დემილიტარიზებულ ზონაში. ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევები შეისწავლება ორივე მხარის შესაბამისი სურვილის შემთხვევაში. გაეროს მისია აკვირდება ასევე მოვლენებს ენგურის, გალის, ზუგდიდისა დაკოდორის ხეობის მიდამოებში. გაეროს მისიის ფუნქციაში შედის დევნილებისათვის აფხაზეთში დაბრუნების ხელშეწყობა.

გაეროს მისიას აქვს ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისი აფხაზეთში, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარს. ოფისი თანამშრომლობს ეუთოს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლეს კომისართან.

გარდა ამისა, მისია ხელს უწყობს კონფლიქტის ზონაში ინფრასტრუქტურის აღდგენას. ჯამში განხორციელებულია ქუჩებისა და ხიდების აღდგენის 31 პროექტი.

გაეროს სადამკვირვებლო მისია საქართველოში გამოცხადდა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ 1993 წლის აგვისტოში, საქართველოსა და აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების შეიარაღებულ ძალებს შორის ზავის, ასევე აფხაზეთის ტერიტორიაზე დსთ-ს სამშვიდობო ძალების მინიტორინგისათვის. მისიას აქვს ოფისები თბილისსა და სოხუმში.

გაეროს სადამკვირვებლო ზონა საქართველო-აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე.

მისია უშუალოდ გაეროს გენერალურ მდივანს ემორჩილება. მას ხელმძღვანელობს გაეროს სპეციალური წარმომადგენელი, ბელგიელი იოჰან ვერბეკე, რომელმაც ფრანგი დიპლომატი ჟან არნო შეცვალა. 2009 წლის თებერვლის მონაცემებით, მისია შედგება 146 მოსამსახურისგან, მისიაში წარმოდგენილია 26 ქვეყანა. პირველ ადგილზეა გერმანია და პაკისტანი,შემდეგ

იორდანია, სამხრეთ კორეა და შვეიცარია. სამხედრო მეთაურია გენერალ-მაიორი ანწარ ჰუსეინი.

მისიის მუშაობის თავდაპირველი სამართლებრივი საფუძველი იყო 1993 წლის 24 აგვისტოს გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული N858 რეზოლუცია. ამ რეზოლუციამ მისიას მისცა მოქმედებათა 6 თვიანი მანდატი. 88 კაცისგან შემდგარ მისიას ევალებოდა თვალყური ედევნებინა იმავე წლის 27 ივლისს გაფორმებული ზავის ხელშეკრულების შესრულებისთვის. რამდენიმე კვირაში აფხაზური მხარის მიერ შეთანხმების დარღვევისა და კონფლიქტის გამწვავების შემდგომ, გაერომ 4 ნოემბერს 881-ე რეზოლუციით შეამცირა მისიის მოცულობა, 1994 წლის 31 იანვარს კი შეწყვიტა მისი მოქმედება, სანამ სამშვიდობო პროცესში რეალური პროგრესი არ გამოჩნდებოდა. იმავე წლის 22 დეკემბერს გაერომ კვლავ გაზარდა მისიის კონტინგენტი, ხოლო მანდატი 2004 წლამდე გაუგრძელა.

რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ გაეროს მისიის მანდატი გაფარდოვა, მას მიენიჭა დამატებითი უფლებამოსილებებ იექვსპუნქტიანი შეთანხმების ფარგლებში. გაეროს მისიის მანდატი გაგრძელდა 2009 წლის 15 თებერვლამდე, ხოლო შემდეგ 15 ივნისამდე. 2009 წლის 15 ივნისს გაეროს უშიშროების საბჭოში რუსეთმა ვეტო დაადო საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისიის მანდატის გაგრძელებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თაოსნობით ამბროლაურში გაიმართა ფესტივალი „მდგრადი განვითარება ყველასთვის“ 2019 წლის 7 ივნისი. ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს გაეროს ოფიციალურმა პირებმა, საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრებმა, საქართველოში აკრედიტირებულმა ელჩებმა, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის მაცხოვრებლებმა, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებმა. საქართველოში გაეროს წარმომადგენლობის ახლად დანიშნულმა ხელმძღვანელმა, გაეროს მუდმივმა კოორდინატორმა, საბინე მახლმა, ხაზი გაუსვა საქართველოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თანამშრომლობას მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის გზაზე.

გაეროს სააგენტოების საქმიანობა მდგრადი განვითარების ხუთ მთავარ თემას ეხმიანება - ადამიანები, პლანეტა, კეთილდღეობა, მშვიდობა, პარტნიორობა,

- განაცხადა საბინე მახლმა. „ჩვენი წარმატება ეფუძნება მჭიდრო თანამშრომლობას გაეროს პარტნიორებთან, რომელთა შორისაა საქართველოს მთავრობა, ადგილობრივი თვითმმართველობა, სამოქალაქო საზოგადოება, კერძო სექტორი, აკადემიური წრეები და საერთაშორისო თანამეგობრობა“.

§ 2. საქართველო და ევროკავშირი

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთოები — წარმოადგენს ურთიერთობებს ევროპის კავშირსა და საქართველოს შორის, რომელთა ურთიერთობებიც 1996 წლიდან დაიწყო, ხოლო 2006 წელს ევროპული სამეზობრლო პოლიტიკის კონტექსტში შემუშავებულ იქნა ხუთწლიანი „სამოქმედო გეგმის“ დადგენილება. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ გამოგზავნილ იქნა ევროპის კავშირის მონიტორინგის მისია. 2014 წელს საქართველოს მიერ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები ახალ, უფრო ღრმა ურთიერთობების მქონე ეტაპზე გადავიდა.

1992 წელს ევროგაერთიანებამ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა და მასთან თანამშრომლობა დაიწყო. თავდაპირველად ეს თანამშრომლობა დაბალი ინტენსივობით მიმდინარეობდა და, ძირითადად, შემოიფარგლებოდა საქართველოსთვის ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარებებით.

1996 წლის 22 აპრილს ლუქსემბურგში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, ევროკომისიისა და საქართველოს პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას, რომელიც 1999 წელს შევიდა ძალაში. შეთანხმება დაიდო 10 წლის ვადით, ვადის ამოწურვის შემდეგ კი ავტომატურად გაგრძელდებოდა ყოველ წელს, თუ რომელიმე მხარე საწინააღმდეგო პოზიციას არ დააფიქსირებდა.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება მოიცავდა მრავალ სფეროს, სადაც მხარეები იღებდნენ ვალდებულებას, ერთობლივად

ემუშავათ გარკვეული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მიზნების მისაღწევად. მართალია, შეთანხმება არ განსაზღვრავდა კრიტერიუმებს თანამშრომლობის შუალედური ან საბოლოო მიზნებისთვის, მაგრამ იგი ითვალისწინებდა ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებისა და ჰარმონიზაციის უწყვეტ პროცესს.

შეთანხმების 43-ე მუხლის თანახმად, საქართველომ ვალდებულება აიღო, ეტაპობრივად მიეახლოებინა თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამავე მუხლში ჩამოთვლილია სფეროები, რომლებიც უნდა მოეცვა საკანონმდებლო ჰარმონიზაციას, ესენია: ინვესტიციები, საბაჟო სამართალი, სამეწარმეო სამართალი, საბანკო სამართალი, კომპანიათა ანგარიშები და გადასახადები, ინტელექტუალური საკუთრება, დასაქმებულთა დაცვა სამუშაო ადგილებზე, ფინანსური მომსახურება, კონკურენციის წესები, სახელმწიფო შესყიდვები, გარემოს დაცვა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, არაპირდაპირი დაბეგვრა, ტექნიკური წესები და სტანდარტები, ბირთვული კანონმდებლობა და ტრანსპორტი. ამასთანავე, შეთანხმების 44-ე მუხლი საგანგებოდ საუბრობს კანონმდებლობის დაახლოებაზე კონკურენციის სფეროში.

საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია ევროკავშირსა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა. შეთანხმების შემდგომ საქართველომ მთელი რიგი ნაბიჯები გადადგა ამ მიმართულებით. 1997 წლის 2 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც, 1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს პარლამენტში მიღებული ყველა კანონი და სხვა ნორმატიული აქტი უნდა შეესა-ბამებოდეს ევროკავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებს.

2000 წლიდან შეიქმნა საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშემწყობი სამთავრობო კომისია, რომელსაც სხვა ფუნქციებთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების ხელშეწყობა დაევალა. კომისიის მიერ შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით შემუშავდა საქართველოს კანონმდებლობის ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის სტრატეგია, რომელიც დამტკიცდა

საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 14 ივნისის #613 განკარგულებით. შემდგომ ეტაპს წარმოადგენდა საქართველოს კანონმდებლობის ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამის შემუშავება. პროგრამაზე მუშაობა 2001-2003 წლებში მიმდინარეობდა. 2004 წლის 8 მაისის განკარგულებით, საქართველოს მთავრობამ მოიწონა საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამა და მთავრობის წევრებს დაევალათ ეროვნული პროგრამის შესასრულებლად ინდივიდუალური სამოქმედო გეგმების შემუშავება.

საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მომავალი კანდიდატის არანაირი ოფიციალური სტატუსი არ აქვს, მაგრამ 2011 წელს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხდა საქართველოს ევროკავშირის სრულუფლებიან წევრად გახდომის სურვილი. გარკვეულ შემთხვევებში ეს ხედვა პირდაპირ იქნა აღქმული, როგორც მინიშნება აშშ-ის, ევროკავშირისადა ნატოს მიმართ, რათა საქართველოსთვის უფრო გაძლიერებინათ დახმარება რუსული გავლენის ეროვნულ მუზეუმში.

2006 წლის 2 ოქტომბერს გამოქვეყნებულ იქნა ერთობლივი განცხადება, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში შედგენილი, საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის შეთანხმებული ტექსტის შესახებ. სამოქმედო გეგმა ფორმალურად დაადგინეს 2006 წლის 14 ნოემბერს, ევროკავშირ-საქართველოს კოოპერაციის საბჭოს სესიაზე, ბრიუსელში.

ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობების უფრო გასაღრმავებლად, მათ შორის დაიწყო მოლაპარაკებები ასოცირების ხელშეკრულებასთან და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. 2012 წლის ნოემბერში, ევროკავშირის რწმუნებულმა გაფართოების და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულემ განაცხადა, რომ მოლაპარაკებები ასოცირების ხელშეკრულებაზე 2013 წლის ნოემბრისთვის იქნება დარსრულებული. 2013 წლის თებერვალში, სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, თამარ ბერუჩაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს არანაირი გეგმა არ აქვს ბელარუსის, ყაზახეთისა და რუსეთის საბაჟო კავშირში გაერთიანებასთან დაკავშირებით, ამასთან დაკავშირებით ფულემ უკრაინაც გააფრთხილა, რომ

საბაჟო კავშირში შესვლის შეთანხმება შეუთავსებელი იქნება ევროკავშირის შეთანხმებებთან.

ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძესა და ევროკავშირის მაღალი წარმომადგენლის საგარეო ურთიერთობებში და უსაფრთხოების საკითხებში კეთრინ ეშტონს შორის, გაიმართა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე 2013 წელის 29 ნოემბერს. ასოცირების ხელშეკრულებას ფორმალურად ხელი მოაწერეს 2014 წლის 27 ივნისს და ამჟამად სათითაოდ უნდა იქნას რატიფიცირებული ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ. 27 ივნისს ასევე ხელმწოერილ იქნა მეორე შეთანხმებაც, საქართველოს ევროკავშირის კრიზისების მართვის ოპერაციებში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

2014 წლის 23-25 მაისს გამართულ ევროპარლამენტის არჩევნებამდელ უკანასკნელ სესიაზე ევროპარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციაში აღინიშნა, რომ „ევროკავშირის შეთანხმების 49-ე სტატიის თანახმად, მოლდოვას, საქართველოს და უკრაინას ისევე, როგორც სხვა ნებისმიერ ევროპულ ქვეყანას ევროპული პერსპექტივა აქვთ და შეუძლიათ ევროკავშირში წევრობის განცხადების შემოტანა, თუმცა აუცილებელია დემოკრატიის პრინციპების დაცვა, ფუნდამენტური თავისუფლების, ადამიანის უფლებების და უმცირესობების უფლებების პატივისცემა, კანონის მმართველობის უზრუნველყოფა." ევროკავშირში წევრობას ემხრობა საქართველოს მოსახლეობის 77%, ხოლო მოწინააღმდეგეა მხოლოდ 11%.

2014 წლის 27 ივნისს გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ევროკავშირის სრულუფლებიან წევრად გახდომა საქართველოს 5-10 წლის შემდეგ შეეძლება. თუმცა, ამასთანავე აღნიშნა, რომ საქართველოს ჯერ არ განუსაზღვრავს მისი ევროკავშირში გაწევრიანების განცხადების შეტანის თარიღი.

2012 წლის ივნისში, ევროკავშირმა და საქართველომ დაიწყეს ვიზის ლიბერალიზაციის დიალოგი, რათა საშუალება მიეცა საქართველოს მოქალაქეებისთვის თავისუფლად ემოგზაურათ ევროკავშირში. მოლაპარაკებების მიზანი იყო წლის ბოლოსთვის „ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ მიღება.

2013 წლის 25 თებერვალს, ევროკომისარმა საშიანო პოლიტიკაში სესილია მალმსტრიომმა ვიზის ლიბერალიზაციის დიალოგის ფარგლებში ქართულ მხარეს სამოქმედო გეგმა წარუდგინა. სამოქმედო გეგმა ორი ნაწილისგან შედგება, რომელიც მოიცავს, როგორც საკანონმდებლო ცვლილებების გატარებას, ასევე რეფორმებს ცალკეული მიმართულებებით, როგორებიცაა საზღვრის მართვა, მიგრაცია, ადამიანის უფლებები, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება.

2014 წლის იანვარში ევროკავშირის წარმომადგენლობამ საქართველოში დაიწყო ახალი პროექტი — „საქართველოს ხელისუფლების პოტენციალის გაზდა საზღვრების მართვასა და მიგრაციის რეგულირებაში“, რომელსაც მიგრაციის საერთაშორიო ორგანიზაცია განახორციელებს, ამდაგვარად საქართველოს კიდევ ერთ ნაბიჯს გადადგამს უვიზო რეჟიმისკენ შენგენის ზონაში.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განხორციელებისა და მონიტორინგის მიზნით ევროკავშირსა და საქართველოს შორის ჩამოყალიბდა შემდეგი ერთობლივი ინსტიტუტები:

თანამშრომლობის საბჭო - წელიწადში ერთხელ იკრიბებოდა და მის ფუნქციას პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განხორციელებაზე ზედამხედველობა წარმოადგენდა. ის, ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლების, ხოლო მეორეს მხრივ, ევროკავშირის საბჭოსა და ევროკომისიის წევრებისგან შედგებოდა. თანამშრომლობის საბჭოზე მხარეები განიხილავდნენ პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ფარგლებში წამოჭრილ საკითხებს, აგრეთვე, ორმხრივი თუ საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში წამოჭრილ ნებისმიერ სხვა საკითხებს, რომლებიც საერთო ინტერესის საგანს წარმოადგენდა და შეთანხმების მიზნებს ემსახურებოდა.

თანამშრომლობის კომიტეტი - წელიწადში ერთხელ იკრიბებოდა მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების დონეზე. ის ამზადებდა თანამშრომლობის საბჭოს სხდომებს და უზრუნველყოფდა, რომ შეხვედრებს შორის უწყვეტი პროცესი ყოფილიყო. თანამშრომლობის კომიტეტი შემდეგ ქვეკომიტეტებს მოიცავდა:

ტრანსპორტის, გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის;

დასაქმებისა და სოციალური საკითხების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ტრენინგის, განათლებისა და ახალგაზრდობის, კულტურის, საინფორმაციო საზოგადოების და აუდიოვიზუალური პოლიტიკისა და მეცნიერების და ტექნოლოგიების;

ვაჭრობის, ეკონომიკისა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების;

სამართლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების.

საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტი შედგებოდა საქართველოს პარლამენტისა და ევროპარლამენტის წევრებისგან. ეს იყო პლატფორმა პოლიტიკური დიალოგისთვის, ევროკავშირისა და საქართველოს პარლამენტარებს შორის.

1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მის ყოფილ ტერიტორიაზე უზარმაზარი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ვაკუუმი შეიქმნა, რასაც ყოველმხრივი დახმარება ესაჭიროებოდა. ამ მოვლენათა სწრაფი ტემპისა და დახმარების საჭიროების გათვალისწინებით, ევროკავშირმა წამოიწყო თავისი პროგრამა TACIS – ტექნიკური დახმარების პროგრამა დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობისთვის[25]. იგი ვრცელდებოდა შემდეგ ქვეყნებზე: აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, სომხეთი, მოლდოვა, მონღოლეთი, რუსეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უკრაინა, უზბეკეთი, ყაზახეთი და ყირგიზეთი. 2007 წელს TACIS -ის პროგრამა ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტმა ჩაანაცვლა. აღნიშნული პროგრამა იმ ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენდა, რომლის საშუალებითაც ევროკავშირი პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების განხორციელებას უზრუნველყოფდა.

მოგვიანებით, ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის ურთიერთობა უფრო ფორმალური და პოლიტიკურად აქტიური გახდა. პროგრამა TACIS -ის დაწყებისას ტექნიკური დახმარება ცალკე ხორციელდებოდა, მოგვიანებით კი, ეს პროგრამა პარტნიორ ქვეყნებთან, საქართველოს ჩათვლით, რთული და სწრაფად მზარდი ურთიერთობის ნაწილი გახდა. პროგრამის მიზანი იყო უფრო ღრმა პოლიტიკური ურთიერთოების პრიორიტეტების დაკმაყოფილება. TACIS -ის

დახმარების ძირითადი ელემენტი იყო ევროკავშირში არსებული ორგანიზაციების და გამოცდილების გაზიარება პარტნიორი ქვეყნებისთვის. ზოგადად, პარტნიორი კომპანია ევროკავშირიდან მუშაობდა პარტნიორ ორგანიზაციასთან TACIS-ის ქვეყანაში კონკრეტულ პროექტზე. საქართველოში TACIS-ის საქმიანობა ეხმარებოდა ევროკავშირის ზოგად სტრატეგიას, გაეძლიერებინა ამ ქვეყნის დამოუკიდებლობა და მისი სვლა საბაზრო ეკონომიკისა და კარგად განვითარებული დემოკრატიისკენ.

მრავალი პროგრამის განხორციელების შედეგად TACIS-მა წვლილი შეიტანა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში, ესენია: ახლად დანიშნულ მოსამართლეთა მომზადება; სტრუქტურული რეფორმები ენერგეტიკულ სექტორში; პარლამენტის ინსტიტუციური მშენებლობა; საჯარო მოხელეთა მომზადება; ქუთაისსა და თბილისში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება; საბაჟოს მოხელეთა მომზადება; ახალი საბუღალტრო სტანდარტების დამკვიდრება კომერციულ ბანკებში; ტურიზმის სტრატეგიის განვითარება; საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაციისთვის დახმარების გაწევა; პორტებში საზღვაო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში დახმარება; ფოთი-ილიჩოვსკის სარკინიგზო ბორნის მშენებლობა; რკინიგზაზე კომუნიკაციისა და სასიგნალო სისტემის შექმნის მიზნით, ოპტიკურ-ბოჭკოვანი სისტემის დამონტაჟება; ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის განვითარება; გაზის განაწილების ქსელის განვითარება; სტატისტიკის დეპარტამენტისთვის დახმარების გაწევა; ტემპუსი – უმაღლესი განათლების განვითარება და რესტრუქტურიზება; ქართულ-ევროპული პოლიტიკის და სამართლებრივი საკონსულტაციო ცენტრისა და კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის შექმნა და ა.შ. 1992–2006 წლებში ევროკომისიამ ტასისის ფარგლებში საქართველოში ასობით პროექტის განსახორციელებლად 131 მილიონამდე დახმარება გამოყო.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკა საქართველოზე, სომხეთსა და აზერ-ბაიჯანზე 2004 წლის ივნისიდან გავრცელდა და მიზნად ისახავდა პროგრესის მიღწევას ისეთ სფეროებში, როგორებიცაა:

---

[25]იხ. Technical Assistance to the Commonwealth of Independent States

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში მონაწილე ქვეყნებისათვის პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების მინიჭება, ევროკავშირის ბაზარზე შეღწევის გაიოლების მიზნით;

ადამიანური რესურსის თავისუფალი გადაადგილებისა და კანონიერი მიგრაციის საფუძვლების შექმნა;

თანამშრომლობის გაძლიერება უსაფრთხოების საკითხებში, კერძოდ, ტერორიზმის, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების, ნარკოტიკების ტრანზიტის, ტრეფიკინგის, ფულის გათეთრებისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში;

ევროკავშირის უფრო აქტიური მონაწილეობა კონფლიქტის დარეგულირების და კრიზისულ სიტუაციათა მართვის საკითხებში;

მეტი ძალისხმევის მიმართვა ადამიანის უფლებათა დაცვისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებისაკენ;

ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში მონაწილე ქვეყანათა ინტეგრაცია ევროპულ სატრანსპორტო, ენერგეტიკულ და სატელეკომუნიკაციო ქსელებში, ასევე - სამეცნიერო კვლევათა ევროპულ სივრცეში.

ინვესტიციების ხელშეწყობისა და მათი დაცვის ახალი ინსტრუმენტების შექმნა;

ევროკავშირის `სამეზობლო პოლიტიკაში მონაწილე ქვეყნების მოთხოვნილებებზე უკეთ ორიენტირებული დახმარების უზრუნველყოფა;

დაფინანსების ახალი წყაროების მოძიება ევროპის საინვესტიციო ბანკის სესხების ხელმისაწვდომობის ჩათვლით. 2006 წლის ნოემბერში საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის დასრულდა საქართველო-ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შეთანხმება, რომელიც თანამშრომლობის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების განხორციელებას უწყობდა ხელს. სამოქმედო გეგმა 2006 წლის 14 ნოემბერს მიიღეს.

ევროპულმა სამეზობლო პოლიტიკამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მხრივ და

ხელი შეუწყო ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმების გატარებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბების პროცესს.

2007 წელს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის ფარგლებში საქართველოსთვის 24 მილიონი ევრო გამოიყო, რაც სამოქმედო გეგმის პრიორიტეტული სფეროების რეფორმირებას მოხმარდა. სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის ფარგლებში 2007-2010 წლების საერთო ბიუჯეტმა 120 მლნ ევრო შეადგინა.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის კონფლიქტებთან დაკავშირებული პაკეტიდან ევროკომისიამ საქართველოსთვის დამატებით გამოყო 500 მლნ ევრო, რომლის ძირითადი ნაწილი იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერას მოხმარდა.

ევროკომისიამ 2008 წლის 3 დეკემბერს გამოაქვეყნა აღმოსავლეთ პარტნიორობის შესახებ კომუნიკაცია, რომელიც 2009 წლის 19 მარტს ევროპული საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა. აღმოსავლეთ პარტნიორობა არ არის ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივის ალტერნატივა, არამედ ის ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გზით ხელს უწყობს პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავებას, საერთო ფასეულობების გავრცელებას, რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერებასა და ეკონომიკურ განვითარებას. აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში თანამშრომლობა ვითარდება ორი მიმართულებით: ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატებში. ორმხრივი თანამშრომლობა ევროკავშირსა და თითოეულ პარტნიორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას ითვალისწინებს, რაც მოიცავს: ასოცირების შესახებ შეთანხმებების (Association Agreements) გაფორმების გზით ახალი, უფრო ფართო საკონტრაქტო ურთიერთობების ჩამოყალიბებას. მრავალმხრივი თანამშრომლობის მიზანი კი უზრუნველყოფს ახალ ფორმატს, რომელიც საერთო ინტერესთა სფეროში თანამშრომლობისა და გამოწვევებთან გამკვლავების შესაძლებლობას იძლევა. ასეთი ფორმატი უსაფრთხოების, მიგრაციის, ვაჭრობის, ტრანსპორტის, ენერგეტიკის, გარემოს დაცვისა და სხვა სფეროებში ერთობლივი პროექტების განხორციელების გზით რეგიონში თანამშრომლობის პროცესების განვითარებას ისახავს მიზნად.

§ 3. საქართველო და ნატო

საქართველოს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ალიანსთან 24 წლიანი თანამშრომლობის ისტორია აკავშირებს. ქვეყანამ 1992 წლიდან დღემდე გრძელი და მნიშვნელოვანი გზა განვლო.

საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანება წარმოადგენს.

საქართველო სრულად იზიარებს დემოკრატიის, პიროვნების თავისუფლებისა და კანონის უზენაესობის პრინციპებს და ფასეულობებს, რომლებსაც ემყარება ჩრდილოატლანტიკური ალიანსი.

ნატოს დამფუძნებელი ხელშეკრულების მეხუთე მუხლის შესაბამისად, ალიანსის უმთავრესი ამოცანაა წევრი ქვეყნების დაცვა აგრესიისგან და ალიანსის ერთ წევრზე თავდასხმა განიხილება ყველა წევრზე თავდასხმად. საქართველო, ნატოს კოლექტიური თავდაცვის ერთადერთ ორგანიზაციად განიხილავს, რომელსაც გააჩნია შესაბამისი პოლიტიკური, სამხედრო და სხვა რესურსი, რათა უზრუნველყოს მისი წევრების უსაფრთხოება და შეინარჩუნოს მშვიდობა ევროატლანტიკურ სივრცეში.

1991 წელს, როდესაცსაქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ქვეყანამ თავისი ისტორიული არჩევანი გააკეთა და პროდასავლური კურსი აიღო. გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველოს სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, უსაფრთხოება და დემოკრატიული განვითარება ყოველთვის საფრთხის წინაშე იდგა. სწორედ ამიტომ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველომ ქვეყნის უსაფრთხოების გარანტიების ძიება ევროატლანტიკურ სივრცეში დაიწყო.

ნატო-საქართველოს ურთიერთობები 1992 წლიდან იწყება, როდესაც საქართველო შეუერთდა ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს (NACC), რომელსაც 1997 წლიდან ევრო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო (EAPC-Euro-Atlantic Partnership Council) ეწოდა. აღნიშნულ ფორმატში, რომელშიც

პარტნიორი და წევრი ქვეყნები სხვადასხვა მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებს განიხილავენ, საქართველო დღემდე აქტიურად არის ჩართული.

1994 წელს საქართველო ნატოს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ (PfP - Parntnership for Peace) პროგრამას შეუერთდა. 1996 წლიდან საქართველო აქტიურად მონაწილეობს და მასპინძლობს PfP პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სწავლებებსა და წვრთნებს.

1999 წლიდან საქართველო ნატოს „დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესში“ (PARP-Planning and Review Process) მონაწილეობს. ნატოსთან თანამშრომლობის აღნიშნული პრაქტიკული ინსტრუმენტი პარტნიორი ქვეყნების სამხედრო ქვედანაყოფების და მართვის სისტემების ნატოს ძალებთან თავსებადობას უწყობს ხელს.

2002 წელს ქ. პრაღაში გამართულ ნატოს სამიტზე საქართველომ პირველად გააჟღერა ნატოში გაწევრიანების სურვილი, შესაბამისად, სწორედ ამ დროიდან იწყება საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესი.

2004 წელს საქართველო გახდა პირველი პარტნიორი სახელმწიფო, რომელთანაც ნატომ ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP - Individual Partnership Action Plan) ფორმატში დაიწყო თანამშრომლობა. აღნიშნული თანამშრომლობის ინსტრუმენტი წარმოადგენდა დროში გაწერილ სამოქმედო გეგმას, რომლის ფარგლებში საქართველომ ალიანსის წინაშე კონკრეტული ვალდებულებები აიღო. დოკუმენტი ითვალისწინებდა ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების განხორციელებას და მოითხოვდა საქართველოს მთავრობის ერთიან და კოორდინირებულ ძალისხმევას მათი ეფექტიანი განხორციელებისათვის. ნატოს საერთაშორისო სამსახური IPAP-ის განხორციელებას ყოველწლიურად აფასებდა. 2004-2008 წლებში სულ 5 შეფასება განხორციელდა (4 ოფიციალური და 1 არაოფიციალური შეფასება).

2006 წელს ქ. ნიუ-იორკშიგამართულ ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების არაფორმალურ შეხვედრაზე ალიანსმა მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოსთან დაიწყო „ინტენსიური დიალოგი გაწევრიანების საკითხებზე“ (ID-Intensified Dialogue on Membership Issues). აღნიშნული გადაწყვეტილების შედეგად საქართველო ფორმალურად გადავიდა პარტნიორობის ფორმატიდან ალიანსის

წევრობის კანდიდატის - ასპირანტის ფორმატზე, რაც გულისხმობს ქვეყნის ნატოში გაწევრიანების მისწრაფებას.

ინტენსიური დიალოგი წარმოადგენდა ნატო-საქართველოს თანამშრომლობის მექანიზმს, რომელიც საქართველოს დაეხმარებოდა, ნატოში გაწევრიანებისათვის საჭირო კრიტერიუმებს უკეთესად გაცნობოდა. ინტენსიური დიალოგის ფორმატში ნატო-საქართველოს შორის მრავალი კონსულტაცია გაიმართა პოლიტიკურ, უსაფრთხოების, კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების, თავდაცვის, სამოქალაქო საგანგებო დაგეგმვის, ეკონომიკურ, მეცნიერების, განათლების საკითხებსა და სხვა საკითხებზე.

საქართველოს მიერ IPAP-ით აღებული ვალდებულებების წარმატებით განხორციელების და ინტენსიური დიალოგის ფარგლებში თანამშრომლობის პროცესში მიღწეული პროგრესის საფუძველზე, 2008 წელს ნატოს ბუქარესტის სამიტზე ალიანსმა მიიღო გადაწყვეტილება (Bucharest Summit Declaration), რომ „საქართველო გახდება ნატოს წევრი ქვეყანა“. აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ გზავნილს, რომელმაც ნატო-საქართველოს თანამშრომლობის პროცესში მნიშვნელოვანი სიცხადე შეიტანა.

ნატო-საქართველოს ურთიერთობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ალიანსის მხრიდან გაცხადებული ერთმნიშვნელოვანი პოლიტიკური მხარდაჭერა, რომელიც მოჰყვა რუსეთის ფედერაციის მიერ 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სამხედრო აგრესიას.

2008 წლის 19 აგვისტოს, ბრიუსელში, ალიანსის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების საგანგებო შეხვედრა გაიმართა, სადაც ერთმნიშვნელოვნად დაგმეს რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებები. სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება ნატო-საქართველოს კომისიის (NGC) შექმნისა და 2008 წლის 15-16 სექტემბერს საქართველოში ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ვიზიტის შესახებ.

2008 წლის 2-3 დეკემბერს გამართული ნატოს საგარეო საქმეთა მინისტერიალის უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო საქართველოსთან წლიური ეროვნული პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობის დაწყება (ANP - Annual National Programme), რომელმაც ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო

გეგმა (IPAP) ჩაანაცვლა. წლიური ეროვნული პროგრამა წარმოადგენს გაწევრიანების სამოქმედო გეგმის (MAP-Membership Action Plan) ფაზაზე მყოფი ქვეყნების და ალიანსის პრაქტიკული თანამშრომლობის მექანიზმს, შესაბამისად, საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი იყო პრაქტიკული თანამშრომლობის ამ ინსტრუმენტის მიღება. შეიძლება ითქვას, რომ MAP-ზე პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების გარეშე, საქართველომ მიიღო ამ ფორმატით გათვალისწინებული გაწევრიანებისთვის აუცილებელი პრაქტიკული ინსტრუმენტი. წლიური ეროვნული პროგრამა წარმოადგენს ერთი წლის განმავლობაში ქართული მხარის მიერ დაგეგმილი რეფორმებისა და სხვადასხვა ღონისძიებების დეტალურ ჩამონათვალს, რომელთა ძირითადი მიზანი ქვეყნის ალიანსთან მიახლოებაა. ალიანსი ყოველწლიურად ახორციელებს პროგრამის იმპლემენტაციის შეფასებას და შედეგებს განიხილავს ქართულ მხარესთან ერთად. საქართველო ამჟამად რიგით მერვე წლიურ ეროვნულ პროგრამას ახორციელებს.

ნატო-საქართველოს კომისიის ეფექტურად ფუნქციონირების მეშვეობით, 2008 წლის შემდეგ, საქართველო ყველა დონეზე კიდევ უფრო აღრმავებს ალიანსთან პოლიტიკურ დიალოგს და პრაქტიკულ თანამშრომლობას. საქართველო ალიანსის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით და პირნათლად ახორციელებს, რაც ნატოს საერთაშორისო სამსახურისა და წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს მრავალჯერ აღუნიშნავთ.

2010 წლის აგვისტოში ნატოს ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს გადაწყვეტილებით, თანამშრომლობის ახალი ინსტრუმენტი, ნატო-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის სამუშაო გეგმა (MC+GEO Work Plan) შემუშავდა, რომელიც სამხედრო სფეროში ნატო-საქართველოს თანამშრომლობის მთავარ ამოცანებს და პრიორიტეტულ მიმართულებებს განსაზღვრავს.

2010 წელს ჩრდილო-ატლანტიკურმა საბჭომ დეკლარაცია მიიღო, რომლის თანახმად საჩხერის სამთო მომზადების სკოლას ნატო/პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამის (NATO/PfP) სამთო მომზადებისა და განათლების ცენტრის სტატუსი მიენიჭა.

2010 წელს ქ. თბილისში ნატოს სამოკავშირეო ოფისი (NLO-NATO Liason Office) გაიხსნა, რომლის მთავარი ამოცანა საქართველოში მიმდინარე რეფორმების და ნატოში საქართველოს გაწევრიანების ხელშეწყობაა.

2011 წლის 7 დეკემბერს ნატოს შტაბ-ბინაში გაიმართა ალიანსის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა საქართველოსთვის. მინისტერიალის გადაწყვეტილებით, საქართველო ფორმალურად მოიხსენიეს ასპირანტ ქვეყნად, მონტენეგროსთან, ბოსნია-ჰერცეგოვინასთან და ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიასთან ერთად (Final Statement). აღნიშნულ კონტექსტში ასევე მნიშვნელოვანია 2012 წლის 20-21 მაისს ნატოს ჩიკაგოს სამიტის ფარგლებში, საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე 28+4 ფორმატში, ალიანსთან ასპირანტი ქვეყნების შეხვედრა. აღნიშნული შეხვედრა კიდევ ერთი დადასტურება იყო ალიანსის მხარდაჭერის ასპირანტი ქვეყნების მისწრაფების მიმართ.

2014 წლის 4-5 სექტემბერს ნატოს უელსის სამიტზე მიიღეს საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP-Substantial NATO-Georgia Package) შემუშავების შესახებ, რომლის მთავარი მიზანია საქართველოს მომზადება გაწევრიანებისთვის და ქვეყნის თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერება. ალიანსმა აღნიშნა, რომ საქართველო ნატოს წევრი გახდება და კიდევ ერთელ გაუსხვა ხაზი საქართველოს მიერ შეტანილ წვლილს საერთო ევროატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცებაში. საქართველო, როგორც ერთ-ერთი ყველაზე თავსებადი პარტნიორი, სხვა ოთხ ქვეყანასთან (შვედეთი, ფინეთი, ავსტრალია, იორდანია) ერთად „გაფართოებული შესაძლებლობების პარტნიორების“ (EOP-Enhanced Opportunity Partners' Group) ჯგუფში მიიწვიეს, რომლის ფარგლებში ქვეყანამ ნატოსთან თანამშრომლობის უფრო გაფართოებულ შესაძლებლობები მიიღო.

2015 წლის 1-2 დეკემბერს ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე მიიღეს განცხადება „ღია კარის“ პოლიტიკასთან დაკავშირებით. მონტენეგროს ალიანსში მიწვევით, ალიანსის წევრებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს ნატოს „ღია კარის“ პოლიტიკისადმი ერთგულება. მოკავშირეებმა კვლავ გამოხატეს ერთგულება ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების მიმართ, რომლის თანახმად,

საქართველო გახდება ნატოს წევრი ქვეყანა. „გაწევრიანების სამოქმედო გეგმა“ (MAP-Membership Action Plan) წარმოადგენს საქართველოს ნატოში მიწვევის თაობაზე მისაღები პოლიტიკური გადაწყვეტილების ნაწილს. მნიშვნელოვანია, რომ ნატოს წევრმა ქვეყნებმა პირველად, საჯაროდ დაადასტურეს, რომ საქართველოს გააჩნია ყველა პრაქტიკული მექანიზმი ნატოს წევრობისთვის მოსამზადებლად. მინისტერიალის შედეგად მიღებულ დოკუმენტში, ნატოს წევრებმა დადებითად შეაფასეს საქართველოში მიმდინარე რეფორმები და ხაზი გაუსვეს ნატო–საქართველოს არსებითი პაკეტის წარმატებით განხორციელების პროცესს.

საქართველო აქტიურადაა ჩაბმული ნატოს პროგრამებში.

თავდაცვის განვითარების პროგრამა - საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ნატოსთან სხვადახვა პროგრამის ფარგლებში, რომლის მიზანია თავდაცვის ტრანსფორმაციის ხელშეწყობა და თავდაცვის ინსტიტუტების განვითარება, რომლებზეც ხორციელდება სამოქალაქო და დემოკრატიული კონტროლი. 2009 წელს დაიწყო თავდაცვის განვითარების პროგრამა , რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვის სფეროს განვითარებას სხვადასხვა მიმართულებით. პროგრამა ითვალისწინებს თავდაცვის სამინისტროს საგანმანათლებლო და საწვრთნელი დაწესებულებების განვითარებას, საწვრთნელი პროგრამების შემუშავების და გამოცდილების გაზიარებას ფაკულტეტების შემდგომი დახვეწის მიზნით. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სწავლება, კურსი, გაცნობითი შეხვედრა, მობილური საწვრთნელი ჯგუფების ვიზიტები და სემინარები. ამჟამად პროგრამა ფოკუსირებულია ეროვნული თავდაცვის აკადემიის განვითარებაზე.

პროფესიული განვითარების პროგრამა - 2009 წელს ნატოს ეგიდით დაიწყო პროფესიული განვითარების პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს უსაფრთხოების სექტორში დასაქმებული პირების პროფესიულ განვითარებას. თავდაპირველად ყურადღება გამახვილებული იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებზე. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი კურსები განკუთვნილია სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებისთვის და ხორციელდება როგორც ეროვნულ, ასევე, საერთაშორისო დონეზე. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს უსაფრთხოების სექტორში უწყებათაშორისი კომუნიკაციისა და თანამშრომლობის გაუმჯობესებას. პროგრამით გათვალისწინებული ტრეინინგები მოიცავს შემდეგ

საკითხებს: ინგლისური ენა, კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოება, საზოგადოებასთან ურთიერთობა, უსაფრთხოების სექტორის მენეჯმენტი, საჯარო სამსახურის რეფორმა, ადამიანური რესურსების მართვა, მართვის უნარები, იურიდიული საკითხები, ანალიტიკური უნარები, შესყიდვები, თავდაცვის ეროვნული აკადემიის ფაკულტეტების განვითარება და პროფესიული განვითარების ცენტრის ფუნქციონირების გაუმჯობესება.

გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების ინიციატივა (Building Integrity (BI) Initiative) - საქართველო მონაწილეობს ნატოს გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების ინიციატივაში (Building Integrity (BI) Initiative) და აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებასა და საწვრთნელ პროგრამაში. 2013 წელს საქართველომ გადაწყვიტა შეევსო ზემოხსენებული ინიციატივის თვითშეფასების კითხვარი და ჩართულიყო BI პროგრამაში. პროგრამის მიზანია თავდაცვის სექტორში გამჭირვალეობის და ანგარიშვალდებულების ამაღლება და კორუფციის რისკის შემცირება. ქართული მხარის მიერ შევსებულ თვითშეფასების კითხვარზე და ნატოს ექსპერტთა ჯგუფის მიერ თბილისში ჩატარებული ინტერვიუების ანალიზზე დაყრდნობით, ნატოს ჯგუფმა შეიმუშავა შეფასების დოკუმენტი (Peer Review Report). ნატოს ექსპერტთა რეკომენდაციების შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მზად არის, თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში არსებული საუკეთესო პრაქტიკა (best practices) გაუზიაროს პარტნიორ ქვეყნებს ნატოს და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვის მინისტერიალის ფორმატების მეშვეობით. ამისათვის თავდაცვის სამინისტროში ჩამოყალიბდა თავდაცვის აღმშენებლობის ჯგუფი.

"მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის" - ნატოს პროგრამა ,,მეცნიერება მშვიდობისადა უსაფრთხოებისთვის" წარმოადგენს დიალოგისა და თანამშრომლობის მექანიზმს ნატოსა და მის პარტნიორ ქვეყნებს შორის, რომლის მიზანია ნატოს სტრატეგიული ამოცანების შესაბამისად სამოქალაქო მეცნიერებისა და ინოვაციების კუთხით თანამშრომლობა.

საქართველო 1994 წლიდან აქტიურადაა ჩართული ,,მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის" პროგრამაში.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ნატოსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის პერსპექტივები ისეთ სფეროებში განიხილება, როგორიცაა მეცნიერება, გარემოს დაცვა, კიბერუსაფრთხოება, ენერგეტიკული უსაფრთხოება, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოაქტიური და ბირთვული თავდაცვა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული საკითხები.

”ვირტუალური აბრეშუმის გზის” პროექტი მიზნად ისახავს კავკასიის და ცენტრალური აზიის სამეცნიერო ერთეულებში ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას სატელიტური ქსელების მეშვეობით. გრანტები ქსელური ინფრასტრუქტურის შექმნაზე დახმარებას უწევს სამეცნიერო დაწესებულებებს პარტნიორ ქვეყნებში იმ აღჭურვილობის უზრუნველყოფის გზით, რომელიც გააუმჯობესებს მათი სატელეკომუნიკაციო საშუალებების დაცულობის დონეს.

ამჟამად, საქართველო NATO-ს ,,მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის" რამდენიმე მიმდინარე პროგრამაშია ჩართული:

ნატოსა და საქართველოს შორის ურთიერთობების ინტენსივობისა და წარმატებული თანამშრომლობის კიდევ ერთი დასტურია საქართველოში ჩრდილოატლანტიკური საბჭოს და ნატოს სამხედრო კომიტეტის ვიტიზები.

ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში მიღწეული პროგრესის შესაფასებლად და საქართველოს მხარდაჭერის დემონსტრირების მიზნით, პერიოდულად იმართება ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ვიზიტები საქართველოში.

ჩრდილოატლანტიკური საბჭო საქართველოს პირველი ვიზიტით 2008 წლის 15-16 სექტემბერს ეწვია. ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა ნატო-საქართველოს კომისიის დამფუძნებელ ჩარჩო დოკუმენტს და კომისიის პირველი სხდომა გაიმართა.

ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მეორე ვიზიტი საქართველოში 2011 წლის 9-10 ნოემბერს გაიმართა. ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე მიღებულ იქნა ერთობლივი განცხადება, რომლის თანახმად ნატოს 28 წევრი სახელმწიფო მიესალმა საქართველოს მიღწევებს რეფორმების პროცესში, გამოხატა ერთგულება ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ.

2013 წლის 26-27 ივნისს საქართველოს მთავრობის მოწვევით საქართველოს ჩრდილოატლანტიკური საბჭო მესამედ ესტუმრა. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა, რომელზეც მხარეებმა საქართველოში მიმდინარე პროცესებზე, ნატო-საქართველოს თანამშრომლობის გაღრმავებაზე და საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პერსპექტივებზე იმსჯელეს.

2016 წლის ნატოს ვარშავის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, 2016 წლის 7-8 სექტემბერს საქართველოს ჩრდილოატლანტიკური საბჭო ეწვია. ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ვიზიტი საქართველოში რიგით მეოთხეა, რაც ნატოს პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევაა. ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ვიზიტი საქართველოს უპირობო პოლიტიკური მხარდაჭერის კიდევ ერთი დემონსტრირებაა.

ვიზიტის ფარგლებში ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა გაიმართა. სხდომაზე განიხილეს თავდაცვის სფეროში ნატო-საქართველოს თანამშრომლობა და ვარშავის სამიტზე საქართველოსთან დაკავშირებით მიღებული ახალი ინიციატივების განხორციელების გეგმები.

ნატოს წევრი ქვეყნების წარმომადგენლებმა დააფიქსირეს მკაფიო მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის და ევროატლანტიკური მისწრაფებების მიმართ. განსაკუთრებულად აღინიშნა საერთო ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაში საქართველოს მიერ შეტანილი წვლილი და რეფორმების განხორციელების თვალსაზრისით მიღწეული პროგრესი, რაც თავის მხრივ აახლოებს ქვეყანას ნატოში გაწევრიანებასთან.

სხდომაზე ნატოს რამდენიმე წევრმა ქვეყანამ დააფიქსირა გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების ამაღლების მიმართულებით კონკრეტული დახმარების გამოყოფის თაობაზე. მხარეებმა ისაუბრეს შავი ზღვის უსაფრთხოების თემაზე ნატოში მიმდინარე სტრატეგიულ დიალოგში საქართველოს მონაწილეობის მნიშვნელობაზე.

„ნატო-საქართველოს კომისია 2008 წელს ჩამოყალიბდა, როგორც ფორუმი პოლიტიკური დიალოგისთვის და ნატო-საქართველოს შორის თანამშრომლობის გაძლიერებისთვის. კომისიის დღევანდელ სხდომაზე განვიხილეთ სხვადასხვა საკითხი, მათ შორის შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებასა და ევროატლანტიკურ

უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ბოლო მოვლენები. ასევე ვისაუბრეთ ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის განხორციელების მხრივ მიღწეულ პროგრესზე. არსებითი პაკეტი 2014 წელს ნატოს უელსის სამიტზე შემუშავდა და გაძლიერდა ვარშავის სამიტზე, რომელიც 2016 წლის ივლისს გაიმართა. მოკავშირეებს მტკიცედ აქვთ განზრახული საქართველოს მხარდაჭერის გაძლიერება და ჩვენი თანამშრომლობის განვითარება" - აღნიშნა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა.

7 სექტემბერს, საქართველოში ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ვიზიტის ფარგლებში ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ახალი შენობის ინაუგურაცია გაიმართა. ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ორდღიანი ოფიციალური ვიზიტი ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივ ცენტრში სტუმრობით დასრულდა.

2014 წლის 11-12 თებერვალს საქართველოს პირველად ეწვია ნატოს სამხედრო კომიტეტი, რომელსაც ალიანსის სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე, გენერალი კნუდ ბარტელსი ხელმძღვანელობდა.

ქ. თბილისში 28+1 ფორმატში სამხედრო კომიტეტის სხდომა გაიმართა, რომელზეც საქართველოს უსაფრთხოებისა და თავდაცვის ტრანსფორმაციის, ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაში საქართველოს წვლილისა და ნატო-საქართველოს სამომავლო თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

ნატოს სამხედრო კომიტეტის სხდომა საქართველოში

2017 წლის 2-3 მარტს საქართველოს მეორედ ეწვია ნატოს სამხედრო კომიტეტი, რომელსაც სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე, გენერალი პეტრ პაველი ხელმძღვანელობდა. ნატოს უმაღლესი სამხედრო ორგანოს რიგით მეორე ვიზიტი საქართველოში ნათლად ადასტურებს ალიანსის ურყევ მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და ევროატლანტიკური მისწრაფებების მიმართ.

ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში ქართულ მხარესთან სამხედრო კომიტეტის მუდმივი სესია გაიმართა. გარდა ამისა, ალიანსის წევრი სახელმწიფოების

სამხედრო წარმომადგენლებმა მოინახულეს ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი და ადგილზე გაეცნენ ცენტრის შესაძლებლობებს.

სამხედრო კომიტეტის სხდომაზე განიხილეს რეგიონში არსებული უსაფრთხოების გარემო, თავდაცვის ტრანსფორმაცია, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის განხორციელება, და ნატო-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის საკითხები.

გენერალმა პეტრ პაველმა საქართველოს თავდაცვის ტრანსფორმაციის რეფორმები დადებითად შეაფასა და აღნიშნა ქართული მხარის მზაობა, გააუმჯობესოს საკუთარი შეიარაღებული ძალების თავსებადობა ნატოს ძალებთან. გენერალმა მადლობა გადაუხადა საქართველოს, ნატოს ეგიდით მიმდინარე ოპერაციებში შეტანილი წვლილისა და ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში ჩართულობისთვის და აღნიშნა, რომ საქართველო ნატოს საიმედო პარტნიორია, რომელსაც საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის საერთო ბრძოლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. „მსურს ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ნატო საქართველოს საიმედო პარტნიორად მიიჩნევს, რომელთან თანამშრომლობაც ღია და გულახდილი დიალოგის ფორმატში მიმდინარეობს. ჩვენ განსაკუთრებულად მადლიერები ვართ საქართველოსი ავღანეთის მისიაში მონაწილეობის გამო. საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში“, - განაცხადა გენერალმა პეტრ პაველმა.

EADRCC-ის საერთაშორისო სწავლება, საქართველო 2012. კატასტროფებზე რეაგირების ევროატლანტიკური საკოორდინაციო ცენტრი (EADRCC) ნატოს ძირითადი სამოქალაქო საგანგებო რეაგირების მექანიზმია. EADRCC 1998 წელს შეიქმნა და მის საქმიანობაში ნატოს ყველა წევრი და პარტნიორი ქვეყანა მონაწილეობს. EADRCC-ის მთავარი ამოცანაა სტიქიური და ტექნოგენური კატასტროფების დროს ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების მოთხოვნის საფუძველზე დახმარების აღმოჩენა.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ნატო-საქართველოს ურთიერთობებში თანამშრომლობის საკვანძო სფეროს წარმოადგენს. 2005 წელს შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს საინფორმაციო

ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, რომელიც ნატოს სახალხო დიპლომატიის განყოფილებისა და საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისთან მჭიდრო თანამშრომლობით ნატოსა და ევროკავშირზე საქართველოს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს. ცენტრის მიერ ყოველწლიურად იმართება „ნატოს კვირეული“, საზაფხულო სკოლები ახალგაზრებისთვის და სხვა პროექტები.

2016 წლის 4 აპრილს საქართველოში, ქ.თბილისში ნატოს კვირეულის ფარგლებში ნატო-საქართველოს სახალხო დიპლომატიის ფორუმი პირველად გაიმართა. ნატო-საქართველოს სახალხო დიპლომატიის ფორუმს საქართველოს მაღალი რანგის თანამდებობის პირები, ნატოს საერთაშორისო სამსახურის, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ეფექტიანი საჯარო დიპლომატია, სტრატეგიული კომუნიკაციები, პროპაგანდასთან ბრძოლის პრობლემები და პერსპექტივები - ასეთი იყო თემები, რომელიც ოთხი პანელისგან შემდგარ ორ დღიან ფორუმს მოიცავდა.

საზოგადოების ინფორმირების კუთხით, ასევე დიდი წვლილი შეაქვს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტს, რომელიც ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში 2015 წლის 2 ივნისს შეიქმნა. დეპარტამენტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ნატო-საქართველოს თანამშრომლობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა და გაძლიერება

სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი ხუთი რეგიონული გაზეთისთვის გამოსცემს „საგაზეთო ჩანართს“, რომლის მიზანია ნატო-საქართველოს ურთიერთობების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში ასევე სხვადასხვა სახის პროექტს ახორციელებს, რომლის მიზანია რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ნატო-საქართველოს

თანამშრომლობაზე და ნატოს როლზე ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაში.

საქართველო, როგორც ევროატლანტიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი სახელმწიფო, აქტიურად არის ჩართული ნატოს ეგიდით წარმოებულ სამშვიდობო ოპერაციებში. ქართული სამხედრო ქვედანაყოფები 1999-2008 წლებში მონაწილეობდნენ კოსოვოში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციაში (KFOR - Kosovo Forces). საქართველო ასევე მონაწილეობს ხმელთაშუა ზღვის აუზში მიმდინარე ანტიტერორისტულ ოპერაცია „აქტიურ ძალისხმევაში", რომელიც ინიცირებულ იქნა ნატოს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მეხუთე მუხლის საფუძველზე 2001 წლის 11 სექტემბერს განხორციელებული ტერორისტული აქტების შემდეგ.

საქართველოს შეიარაღებული ძალების მონაწილეობა ნატოს ეგიდით წარმოებულ საერთაშორისო ოპერაციებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს მონაწილეობა ავღანეთში აწ უკვე დასრულებულ ოპერაციაში საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების (ISAF - International Security Assistance Force). საქართველოს შეიარაღებული ძალების ორი ცალკეული ქვეითი ბატალიონის მონაწილეობის შედეგად, საქართველოს პირველი ადგილი ეკავა ISAF-ის მონაწილე, არაწევრ ქვეყნებს შორის კონტინგენტის რიცხოვნობის თვალსაზრისით. 12 000-ზე მეტმა ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ ISAF-ის მისიაში „გადასროლის წინა მომზადება" ამერიკელი საზღვაო ქვეითების ინსტრუქტაჟით გაიარა.

2015 წლიდან საქართველო ჩაერთო ავღანეთში ნატოს „მტკიცე მხარდაჭერის" მისიაში, სადაც ის ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობით რიგით მეორე კონტრიბუტორია.

ალიანსის და წევრი ქვეყნების წარმომადგენლებისგან ქართველი სამხედროების მომზადების დონე და მათი მზადყოფნა კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად, ყოველთვის მაღალ შეფასებას იმსახურებდა.

ავქე უნდა ვისაუბროთ ნატოში გაწევრიანების საკითხზე, რადგანაც საქართველოს სურს გაწევრიანება მაგრამ ის კანდიდატაც კი არ მიიჩნევა.

ნატოში გაწევრიანება არის ურთულესი პროცესი. ნატოში გაწევრიანების მსურველებმა უნდა გაიარონ შვიდი[26] საფეხური:

1. მოლაპარაკების დაწყება ნატოს გუნდთან. პირველ ნაბიჯად გაწევრიანებისაკენ ითვლება მოლაპარაკებები გამწევრიანებელის წარმომადგენლებსა და ნატოს ექსპერტებს შორის. ეს მოლაპარაკება იმართება ნატოს შტაბ-ბინაში ბრიუსელში. მთავარი მიზანი ამ მოლაპარაკებისა შემდეგია - მიიღონ ოფიციალური თანხმობა გამწევრიანებელი სახელმწიფოსა, რომ ის მზად არის შეასრულოს პოლიტიკური, იურიდიული და საომარი ვალდებულებები ასევე ნატოს წევრობის სავალდებულოობა, რომელიც გათვალისწინებულია ვაშინკტონის ხელსეკრულებაში და ალიანსის გაფართოების სტატუტში. ეს იმართება ორ ეტაპატ: პირველ შეხვედრაზე განიხილავენ პოლიტიკურ და თავდაცვით კითხვებს. მეორე სხდომაზე უფრო მატერიალურ საკითხებს ინხილავენ მაგ. რესურსების განხილვა, უსაფრთხოებისა და სამართლის კითხვები, ასევე ნატოს ბიუჯეტში შესატანი თანხები. ბოლოს კი განიხილავენ სახელმწიფო ეკონომიკურ დამოკიდებულებას სხვა წევრ სახელმწიფოებთან შედარებით.

ამის შემდეგ ნატოში გაწევრიანიბის მსურველმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები ალიანსის საიდუმლო ინფორმაციის დაცვაზე და ასევე მოამზადოს თავისი უსაფრთხოების სამსახური ნატოს უსაფრთხოების მართვის სამსახურისათვის.

2. ოფიციალური წერილი ალიანს. მეორე ეტაპი ალიანსთან მიერთების პროცესისა წერილობრივი თანხმობა ალიანსში გაწევრიანების მსურველი სახელმწიფოსგან, რომ ის თანახმაა იკისროს ვალდებულებები რომელიც წარმოიშობა ალიანსთან კავშირით. ასეთი დათანხმება უნდა მოხდეს ალიანსის გენერალურ მდივანზე ოფიციალური წერილის მიწერით. ამასთან ერთად ასევე ოფიციალურად ალიანსში გაწევრიანების მსურველი სახელმწიფო სთავაზობს მის ინდივიდუალურ გეგმას რეფორმების გატარებაზე.

3. ვაშინგტონის ხელსეკრულებასთან მიერთების პროტოკოლი(ოქმი). მესამე ეტაპზე ალიანსი საუბრობს პროტოკოლზე ვაშინგტონის ხელშეკრულებასთან მიერთების თაობაზე, თითოეულ იმ სახელმწიფოსთან, რომელსაც სურს გახდეს მისი წევრი. ეს დოკუმენტი ფაქტიურად სესწორებაა ან დამატება იმ ხელსეკრულებისა

[26] www.112.ua

როდესაც დამფუძნებელმა სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს და რატიფიცირება მოახდინეს, ამიტომაც თითოეულმა ალიანსში გაწევრიანების მსურველმა ქვეყანამ უნდა მიერთდეს მას[27].

4. პროტოკოლების რატიფიკაცია და ვაშინგტონის ხელშეკრულებასთან მიერთება. მეოთხე ეტაპზე ნატოს წევრი სახელმწიფოების მთავრობები რატიფიკაციას ახდენენ ვაშინგტონის ხელშეკრულებასთამ მიერთების პროტოკოლს ყველა იმ სახელმწიფოსთვის, რომლებსაც სურთ გახდნენ ალიანსის წევრები, შესაბამისად მათი მოთხოვნებისა და კანონმდებლობისა. რატიფიცირების რიგითობა მერყეობს სახელმწიფოდან სახელმწიფოსკენ

5. ნატოს გენერარული მდივანი იწვევს სახელმწიფოებს რომელთაც სურთ მიუერთდენ ალიანს. მას შემდეგ, რაც ნატოს წევრი სახელმწიფოები შეატყობინებს აშშ-ს, ვაშინგტონის ხელშეკრულების დეპოზიტორს, პროტოკოლის მიღებას ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულებასთან პოტენციური ახალი წევრების მიერთების თაობაზე, გენერალური მდივანი სტავაზობს სახელმწიფოებს, რომელთაც სურთ გახდნენ ალიანსის წევრები, მიუერთდენ ხელშეკრულებას.

6. შემოთავაზება მიუერთდნენ ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულებას მათი ნაციონალური პროცედურების შესაბამიასდ.

7. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში გაწევრიანების დამადასტურებელი საბუთების ჩაბარების შემდეგ, მოწვეულები უფიციალურად გახდნებიან ნატოს წევრები.

აქვე აღსანიშნავია, რომ ოფიციალური ინფორმაციით უკრაინა ახლოსაა გაწევრიანებასთან, მან უამრავი რეფორმა გაატარა ამის გამო.

[27] ალექსანდრე ჯიშკარიანი და გიორგი ასტამაძე(მასალა მომზადებულია საგარეო ურთიერთობის სტაჟიორების მიერ), გაწევრიანების სამოქმედო გეგმა [ელ-ვერსია]

თავი III.საქართველო გარემომცველ სამყაროში

§ 1. საქართველო და ამერიკის შეერთებული შტატები (აშშ)

საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს აკავშირებთ მდიდარი და მრავალმხრივი ურთიერთობა. შეერთებულმა შტატებმა საქართველოს დამოუკიდებლობა ოფიციალურად 1992 წელს აღიარა, თუმცა, თავდაცვის მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავება 2001 სექტემბრიდან იღებს სათავეს, როდესაც საქართველო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას შეუერთდა.

აღნიშნულის შემდეგ, აშშ-სა და საქართველოს შორის ჩამოყალიბდა ძლიერი და მზარდი ურთიერთობა თავდაცვის სფეროში. ორმხრივი თანამშრომლობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს თავდაცვის რეფორმებისა და მოდერნიზაციის პროცესს, აუმჯობესებს საქართველოს თავდაცვისუნარიანობასა და თავსებადობას ნატო-ს და კოალიციურ ძალებთან.

2002 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით დაიწყო საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა, რომელიც დახმარებას უწევდა საქართველოს უსაფრთხოების სამსახურებს პანკისის ხეობის მთიან საზღვრისპირა რეგიონში, მეამბოხეებისგან მომდინარე შიდა ტერორისტული საფრთხეების მოგერიებაში.

2005 წელს, წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა გარდაიქმნა სტაბილურობის შენარჩუნების ოპერატიულ პროგრამად, რომელიც ერაყის მშვიდობის მხარდამჭერ ოპერაციებისთვის წვრთნიდა და ამზადებდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებსა და სამეთაურო შტაბს.

„ოპერაცია ერაყის გათავისუფლებისთვის“ დაწყებიდან 2008 წლის აგვისტომდე, 7800 ქართველმა ჯარისკაცმა შეერთებული შტატების ძალებთან ერთად იმსახურა ერაყში.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, აშშ-ის ევროპულმა სარდლობამ განახორციელა საქართველოს შეიარაღებული ძალების ყოვლისმომცველი

შეფასება. აღნიშნულმა განსაზღვრა, რომ თანამშრომლობის მთავარი ფოკუსი უნდა ყოფილიყო თავდაცვის სექტორის რეფორმის ხელშეწყობა, თავდაცვის ინსტიტუტებისა და სტრატეგიული და საგანმანათლებლო საფუძვლების შექმნა, რაც ხელს შეუწყობდა აუცილებელი წვრთნების, განათლებისა და რაციონალური ძალის სტრუქტურის დაგეგმვასა და შესყიდვების განხორციელებას.

აღნიშნული პროცესების დინამიკამ საფუძველი ჩაუყარა აშშ-საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის განვითარებას, რომელსაც 2009 წლის 9 იანვარს ხელი მოაწერა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა.

სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიაზე ხელმოწერისთანავე განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიღწევა, კერძოდ: 2010-2014 წლების თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტის დასრულება; ახალი ეროვნული სამხედრო სტრატეგიის გამოქვეყნება; სამხედრო პერსონალის მართვის სისტემის ძირითადი ინიციატივების განხორციელება; საქართველოს შეიარაღებული ძალების სტრუქტურული რეორგანიზაცია.

პროგრესი ასევე მიღწეულ იქნა პროფესიულ სამხედრო განათლებაში, კერძოდ: ეროვნული თავდაცვის აკადემიის განვითარება, რაც ასევე მოიცავს ოფიცერთა საბაკალავრო პროგრამას; საქართველოს სიმულაციური სასწავლო ცენტრის ჩამოყალიბება; საქართველოს სამეთაურო და საშტაბო სწავლების კურსის განვითარება.

ამავე პერიოდში წარმოიშვა აშშ-სთან თანამშრომლობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება - აშშ-ის მხარდაჭერა ნატო-ს ეგიდით წარმოებულ ოპერაციებში, კერძოდ 2009 წლის შემოდგომაზე ჩამოყალიბდა საქართველოს გადასროლის პროგრამა - უსაფრთხოების მხარდამჭერი საერთაშორისო ძალები. 2014 წელს პროგრამა ჩანაცვლდა საქართველოს გადასროლის პროგრამა - მტკიცე მხარდაჭერის მისიით.

ამჟამად ქართული მხარე მონაწილეობს ნატო-ს მტკიცე მხარდაჭერის მისიაში 870 სამხედრო მოსამსახურით. საქართველო არის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და ერთი სული მოსახლით ნომერ პირველი კონტრიბუტორი „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში.

2016 წლის 6 ივლისს, აშშ-სა და საქართველოს შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში პარტნიორობის გაღრმავების შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა. აღნიშნულის საფუძველზე, 2016 წლის 6 დეკემბერს, საქართველომ და აშშ-მ ხელი მოაწერეს უსაფრთხოების სფეროში 2016-2019 წლებისთვის თანამშრომლობის ჩარჩო ხელშეკრულებას. ხელმოწერილი დოკუმენტით აშშ-საქართველოს თავდაცვის სფეროში თანამშრომლობა ახალ ეტაპზე გადავიდა, რაც აისახა ორმხრივი დაგეგმვის პროცესების გაუმჯობესებაში, კერძოდ მოკლევადიანი დაგეგმვა ჩანაცვლდა საშუალოვადიანი დაგეგმვით და მოხდა ძალისხმევის კონცენტრაცია საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის დონის ამაღლებასა და სტრატეგიული მზადყოფნის და შენარჩუნების უზრუნველყოფის ინსტიტუციური სისტემების განვითარებაზე.

2016 წლის პირველ ნახევარში საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტმა დაიწყეს კონსულტაციები ახალი პროგრამის დაწყების თაობაზე, რომელიც უზრუნველყოფდა საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებას, ქვედანაყოფების დაკომპლექტების, წვრთნის, აღჭურვის და ძალების შენარჩუნების მდგრადი ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებას. კონსულტაციების შედეგად დაფუძნდა საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა.

საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა წარმოადგენს ორი კომპონენტის ერთობლიობას: მზადყოფნის პროგრამა წვრთნა და მზადყოფნის პროგრამა - ინსტიტუციური განვითარება.

საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის პარალელურად აშშ-ის ფინანსური და პრაქტიკული მხარდაჭერით მიმდინარეობს ინტეგრირებული, ვირტუალური და კონსტრუქციული საბრძოლო მომზადების ცენტრის განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს ქვედანაყოფების მომზადებას და შეფასებას.

საქართველო ყოველწლიურად მონაწილეობს აშშ-ს მიერ ორგანიზებულ წვრთნებსა და სწავლებებში. აღსანიშნავია ქართულ-ამერიკული მრავალეროვნული სწავლება, რომელიც ტარდება საქართველოს ტერიტორიაზე.

2011 წლიდან ტარდება მრავალეროვნული სწავლება, რომლის მიზანია თავისუფალი ნაოსნობის, საქართველოს შეიარაღებული ძალების

შესაძლებლობებისა და თავსებადობის და დასავლეთ საქართველოში საწვრთნელი შესაძლებლობების განვითარება.

1994 წლიდან საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის „პარტნიორობა ქვეყნებს შორის“, პროგრამა მტკიცე მხარდაჭერის ერთ-ერთი უპირველესი მექანიზმია, როგორც საგანმანათლებლო, ასევე ფინანსური მხარდაჭერის მიმართულებით. „პარტნიორობა ქვეყნებს შორის“ პროგრამა არ მოიცავს მხოლოდ ეროვნული გვარდიის შესაძლებლობების განვითარებას, არამედ ითვალისწინებს დახმარებას ისეთ კრიტიკულ დარგებში, როგორიცაა ლოგისტიკა, კიბერ სივრცის ოპერაციები, სტიქიური უბედურებებისთვის მზადყოფნა, სამართალი, მედიცინა, გენერალური ინსპექცია, საავიაციო შესაძლებლობების განვითარება და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების მხარდაჭერა. გარდა ამისა, საქართველოს ეროვნული გვარდია ატარებს გაცნობით ღონისძიებებსა და წვრთნებს, მონაწილეობს ეროვნული სწავლებებში და მხარს უჭერს ჰუმანიტარული სამოქალაქო დახმარების პროექტებს.

თანამშრომლობის კიდევ ერთ მიმართულებას წარმოადგენს დაჭრილ/დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეთა სამკურნალო შესაძლებლობების განვითარება. დაჭრილი ქართველი სამხედროებისა და BAC-G პროგრამა ჩამოყალიბდა დაჭრილი ქართველი სამხედროების ინტეგრირებული და ინტერდისციპლინარული რეაბილიტაციის პროგრამის უზრუნველსაყოფად.

პროგრამის მხარდაჭერის მიზნით აშშ-ს დაფინანსებით საქართველოში მოვლენილია მუდმივი მრჩეველი. გარდა ამისა, მობილური საკონტაქტო ჯგუფები უზრუნველყოფენ სპეციალიზირებული გამოცდილებისს გაზიარებას სხვადასხვა სარეაბილიტაციო დისციპლინებში.

2018 წელს საქართველო დაიწყებს ახალი მრავალპროფილური სარეაბილიტაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობას, წეროვანის მარო მაყაშვილის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრის ტერიტორიაზე,რომელიც მოემსახურება დაჭრილ/დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებსა და მათი ოჯახის წევრებს. ამ დაწესებულების ინვესტიცირება ხორციელდება აშშ-ს საგარეო სამხედრო დაფინანსებით.

2013 წელს, აშშ და საქართველო შეთანხმდნენ, საქართველოს შეიარაღებული ძალების ერთი ქვეითი ასეულის, ნატო-ს საპასუხო ძალებში ჩართულობით, კიდევ უფრო გაეძლიერებინათ ნატოსთან თავსებადობა. 2013 წლიდან აშშ დახმარებას უწევს საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ნატო-ს საპასუხო ძალებში მონაწილეობისათვის მომზადების პროცესში.

აშშ-ს ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ძირითად ჯგუფის მოადგილის თანამდებობაზე მოვლენილი ჰყავს ექსპერტი, რომელიც პასუხისმგებელია პაკეტის ფარგლებში განსაზღვრული ინიციატივების განხორციელების კოორდინაციასა და მონიტორინგზე. დამატებით, აშშ არის ლოგისტიკის ინიციატივის ხელმძღვანელი ქვეყანა და გამოყოფილი ყავს მუდმივი ექსპერტი.

საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა წარმატებით მიაღწია ლოგისტიკის ინიციატივის ფარგლებში აღებულ ვალდებულებებს, რაც 2018 წლის გაზაფხულს ინიციატივის დასრულების საშუალებას იძლევა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 2018 წელი დაასახელა ლოგისტიკის წლად, რათა ხელი შეუწყოს მრავალწლიანი ლოგისტიკის ინიციატივების პრიორიტიზირებას.

საერთაშორისო სამხედრო განათლებისა და წვრთნების პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შეიარაღებული ძალების სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის გადამზადება აშშ-ის სამხედრო სასწავლებლებში. პროგრამა მოიცავს, როგორც მაღალი დონის, ასევე საშუალო და საწყისი მომზადების კურსებს ოფიცრებისა და სერჟანტებისთვის.

კონტრ-ტერორისტული სწავლების პროგრამა ყოველწლიურად აფინანსებს მაღალი დონის კურსებს აშშ-ს თავდაცვის ეროვნულ აკადემიასა და ეროვნულ სამხედრო კოლეჯში, ასევე მოკლევადიან კურსებს სპეციალური ოპერაციების ძალების პერსონალისათვის.

ჯორჯ მარშალის სახელობის უსაფრთხოების სწავლების ევროპული ცენტრი ყოველწლიურად გვთავაზობს სასწავლო ადგილებს უსაფრთხოების სასწავლო პროგრამასა და სხვა კურსებზე.

საქართველოს 1997 წლიდან აშშ-ის საგარეო სამხედრო დაფინანსების ფარგლებში მიღებული აქვს $239 მლნ-ზე მეტი. 2017 წელს საქართველომ მიიღო 37 მილიონი აშშ დოლარი.

საგარეო სამხედრო დაფინანსების ფარგლებში გამოყოფილი თანხები სრულად არის გადანაწილებული წვრთნებისა და აღჭურვის პროგრამებზე და შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარებას ხმარდება.

§ 2. საქართველო და რუსეთი

საქართველოს, მიუხედავად ღრმა ისტორიული წარსულისა, დაძაბული ურთიერთობა აქვს რუსეთთან, ეს დაძაბულობა კი 2008 წლის აგვისტოს ომმა უფრო გაამძაფრა.

ბევრი რამ არის დაწერილი რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომზე. ჩვენს ნაშრომში ეს განვიხილოთ და დავახასიათოთ ჩვენეულად.

გვიან 1 აგვისტოდან ინტენსიური სროლები დაიწყო საქართველოს თავდაცვის ქვედანაყოფებსა და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ ძალებს შორის, რის შედეგადაც ექვსი დაიღუპა, ხოლო 21 ადამიანი დაიჭრა. ორივე მხარე ერთმანეთს ადანაშაულებდა სროლის დაწყებაში. 3 აგვისტოს რუსეთის მთავრობამ საშუალება მისცა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას რუსეთში გახიზნულიყო. ამავე დღეს რეგიონს ლტოლვილებით დატვირთული 20 ავტობუსი ტოვებს.

4 აგვისტოს რუსეთის 58-ე არმიის ხუთი ბატალიონი როკის გვირაბის სიახლოვეს იქნა დისლოცირებული, ჩრდილოეთ ოსეთის მხარეს.

კანტიკუნტი სროლები გრძელდებოდა მომდევნო რამდენიმე დღეს. 6 აგვისტოს საქართველოს განცხადებით ქართულმა მხარემ ჯავშანტრანსპორტიორი დაკარგა, რის გამოც სამი ქართველი სამშვიდობო ჯარისკაცი დაიჭრა. იმავე ღამეს სროლებმა ოთხი ადამიანი იმსხვერპლა, რის გამოც ქართულმა მხარემ სროლები განაახლა. ცხინვალის მცხოვრებლები გახიზვნას იწყებენ, ხოლო ქართულმა მხარემ ტანკები, არტილერია და ჯარები რეგიონის საზღვართან მიიყვანა. 7 აგვისტოსთვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით ათი ჯარისკაცი

დაიღუპა. ამის შემდეგ ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე გააკეთა განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა.

ცეცხლის ორმხრივ შეწყვეტაზე სააკაშვილის წინადადების შემდეგ, თავდასხმებმა ქართულ სოფლებზე უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. სოფელი ავნევი თითქმის სრულიად განადგურდა, თამარაშენი და ფრისი დაიბომბა, ხოლო სანაკოევის ადმინისტრაციის შენობა - ქურთას პოლიციის სადგური, არტილერიის ინტენსიური ცეცხლის ქვეშ მოექცა. მშვიდობიანი მოსახლეობა სოფლებიდან გაიხიზნა. 7 აგვისტოს საღამოს 22:00 ოსები სოფელ ავნევის აღებას ზეიმობდნენ.

7 აგვისტოს საღამოს 11:30 საათზე ქართულმა მხარემ საპასუხო სამხედრო ოპერაცია დაიწყო, რომლის მიზანი სამშვიდობო ჯარების სარდალ ყურაშვილის განცხადებით, რეგიონში „კონსტიტუციური წესრიგის“ დამყარება იყო. 11:45 საათზე OSCE-ს მონიტორების განცხადებით ჭურვები ცხინვალზე ყველი 15-20 წამის ინტერვალით ეცემოდა. ედუარდ კოკოითის განცხადებით, მისი ძალები ქართველებს ცხინვალის მისადგომებთან ებრძოდნენ. ქართული დაზვერვის ცნობით და რამდენიმე რუსლ წყაროზე დაყრდნობით, 58-ე რუსული არმია სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შემოვიდა როკის გვირაბით, სანამ ქართული მხარე იერიშს დაიწყებდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, ქართულმა მხარემ უტყუარი მტკიცებულება იმაზე, რომ რუსეთი ქვეყანაში შემოიჭრა მანამ, სანამ ქართველები ოპერაციას დაიწყებდნენ, ან ის, რომ სიტუაცია ქართველებისთვის ოსურ ზონაში იმდენად მძიმე იყო, რომ ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია გარდაუვალი იყო, ვერ შეძლო.

გაეროს უსაფრთხოების საბჭომ სასწრაფო შეხვედრა გამართა ნიუ-იორკში, გამოხატა რა „სერიოზული შეშფოთება კონფლიქტის ესკალაციის გამო“. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის განცხადებით ჩრდილოეთ ოსეთში 1100 ლტოლვილი გადავიდა კონფლიქტის ზონიდან.

8 აგვისტოს დილას, რუსეთის პრემიერ-მინისტრმა, ვლადიმირ პუტინმა, რომელიც პეკინის ოლიმპიური თამაშების გახსნაზე იმყოფებოდა, დაგმო საქართველოს „აგრესიული ქმედებები“ და თქვა, რომ რუსეთი ამ ქმედებებს უპასუხოდ არ დატოვებდა. 09:30 საათზე პრეზიდენტმა მედვედევმა სასწრაფო შეხვედრა გამართა მთავრობის წევრებთან, კონფლიქტის შესახებ რუსეთის შესაძლო მოქმედების გეგმის შესამუშავებლად.

ნახევარ საათში, საქართველოს წყაროების ცნობით, სამი რუსული სუ-24 საქართველოს საჰაერო სივრცეში იჭრება და ორ ბომბს აგდებს ქარელის პოლიციის სადგურთან. ამავე წყაროს ცნობით რამდენიმე ბომბი გორის სიახლოვესაც ჩამოვარდა, თუმცა მათ მსხვერპლი არ მოჰყოლია. რუსეთის წარმომადგენლებმა ეს ცნობები უარყვეს, თუმცა ფაქტები დაადასტურა ბრიტანულმა გაზეთმა „დეილი ტელეგრაფი“.

11:40 საათზე სააკაშვილის ბრძანებით მობილიზირებულ იქნა ქართული სარეზერვო ჯარები რუსეთის მიერ „ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიისგან“ თავდაცვისთვის და მოუწოდა რუსეთს შეეწყვიტა „ქართული ქალაქების დაბომბვა“. სამხრეთ ოსეთში რუსეთის გარნიზონის მეთაურის განცხადებით ქართული ნაღმები ცხინვალში პირდაპირ მათ ყაზარმებს მოხვდა, რის შედეგადაც 12 რუსი სამხედრო დაიღუპა, ხოლო 30 დაიჭრა.

ქართული მხარის ცნობით, 15:00 საათზე მათ სამსაათიანი ცეცხლის შეწყვეტა გამოაცხადეს ცხინვალიდან მშვიდობიანი მოქალაქეების უვნებლად გასასვლელად, თუმცა ეს განცხადება უარყო რუსეთის ჯარების წარმომადგენელმა ცხინვალში,მარატ კულახმეტოვმა.

რუსეთის 58-ე არმიის ტანკების კოლონამ დაიწყო ცხინვალისკენ მოძრაობა, რეგიონში რუსული ძალების მისაშველებლად. ქართული მედიის ცნობით, რუსული კოლონა 150 ტანკისგან, ჯავშანტრანსპორტიორისგან და სხვა დანადგარებისგან შედგებოდა. რუსული მედიის განცხადებით ქართული ჯარები ცხინვალიდან უკან იხევენ და რუსული თვითმფრინავები სრულიად აკონტროლებდნენ ცხინვალის საჰაერო სივრცეს. იმავე ღამეს რუსული და ოსური ძალები ქალაქის დიდ ნაწილს აკონტროლებდნენ. რუსეთის ავიამოიერიშეებმა გორის დაბომბვა დაიწყეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, რუსულმა ბომბდამშენებმა ორი ბომბი ჩამოაგდეს ვაზიანის სამხედრო ბაზაზე. რუსულმა თვითმფრინავებმა, ასევე დაბომბეს სამხედრო აეროდრომი მარნეულში, რამაც ოთხი ადამიანი იმსხვერპლა, რომელთაგან სამი ქართველი ჯარისკაცი იყო.

დაახლოებით 23:45 წუთზე, რუსულმა ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს ქალაქ ფოთზე, კერძოდ კი — პორტზე. ასევე 58-ე არმიის კუთვნილი ოპერატიულ-

ტაქტიკური სარაკეტო კომპლექს ე.წ. ტოჩკა-უ-თი გაშვებულ იქნა ორი რაკეტა, რომელიც ფოთის ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩამოვარდა.

დიდი ბრძოლის შემდეგ, 10 აგვისტოს ქართულმა ჯარმა ცხინვალი დატოვა, საქართველო დიდიდ დაზარალდა[28].

11 აგვისტოს, როდესაც რუსეთი თბილისისკენ მოიწევდა, პოლონეთის პრეზიდენტი, ოთხ ევროპის სახელმწიფო მეთაურთან ერთად ჩამოვიდა საქართველოში და დადგა ქართველ ხალხთან ერთად ღია ცის ქვეშ. აი ეს იყო საქართველოს გადარჩენის ერთადერთი მიზეზი .

ომსაც თავისი წესები აქვს. ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ ეს წესები და იცავდნენ კიდეც მას. რუსეთმა ამ ომში არაფრად ჩააგდო ომის ეტიკეტი და უხეშად დაარღვია საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმა.

2008 წლის 7 აგვისტოს რუსეთმა დაარღვია სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა. განახორციელა საქართველოს ტერიტორიის ფართომასშტაბიანი ოკუპაცია. რუსეთის ფედერაციის რეგულარულმა სამხედრო ნაწილებმა, არტილერიისა და ბომბდამშენების გამოყენებით დაბომბეს მშვიდობიანი ქალაქები, რასაც საქართველოს მშვიდობიანი მოსახლეობის დაღუპვა მოჰყვა. რუსი ოკუპანტებისა და ოსი სეპარატისტების მხრიდან ადგილი ჰქონდა მასობრივი დანაშაულებების ჩადენას საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ.

რუსეთის ფედერაციამ დაარღვია მის მიერ ადრე დადებული ხელშეკრულებები კერძოდ კი ჩადენილ იქნა მძიმე დანაშაულები: მკვლელობა; მკვლელობის მცდელობა; გაუპატიურება; თავისუფლების უკანონო აღკვეთა და იძულებით სამუშაოებში გამოყენება; არაადამიანური მოპყრობა როგორც საცხოვრებელ ადგილებზე, ასევე საპატიმროებში; ძარცვა; ყაჩაღობა[29].

ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებების დარღვევის აშკარა ფაქტებს, რომლებიც განსაკუთრებული ცინიზმით გამოირჩეოდა და ძირითადად ქართველთა წინააღმდეგ იყო მიმართული. ხდებოდა ქართველების მკვლელობა მხოლოდ და მხოლოდ ეთნიკური ნიშნით, მათი ქონების მითვისება და საცხოვრებელი ადგილების გადაწვა-დარბევა. ამ კანონდარღვევებთან დაკავშირებით ჰაგის

---

[28] www.tabula.ge
[29] www.wikipedia.erg

საერთაშორისო სასამართლოში საქართველოს მოქალაქეების 200-მდე სარჩელია შესული, რადგანაც სახელმწიფო კონსტიტუციის გარანტიაა და უზრუნველყოფს საკუთარი მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლების დაცვას , ამიტომ საქართველოს მოქალაქეების მიმართ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულებები სახელმწიფოს მიერ აღიქმება, როგორც ქართველების ეროვნული ნიშნით დისკრიმინაცია და რეგიონების გეოგრაფიული ცვლილებების მცდელობა ეთნიკური წმენდის საშუალებით. სწორედ ამ შინაარსის სარჩელი შეიტანა საქართველომ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ.

საქართველოს მიზანია რუსეთის ფედერაციასთან დაძაბული ურთიერთობების დეესკალაცია და საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და მისი საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვეობის პატივისცემის საფუძველზე ურთიერთობების ნორმალიზაცია, რისი საწინდარიც უნდა გახდეს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის დეოკუპაცია და მის მიერ საქართველოს ოკუპირებული რეგიონების აღიარების გაუქმება.

უსაფრთხოების, სტაბილურობის, იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების საკითხებთან დაკავშირებით, საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების მთავარი ფორმატი, კვლავ ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები იქნება. საქართველო და რუსეთს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობების დეესკალაციისთვის, საქართველო, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენებს საქართველოს მთავრობის ინიციატივით რუსეთთან ჩამოყალიბებულ არაფორმალური პირდაპირი დიალოგის ფორმატს, სადაც განიხილება ორმხრივი ურთიერთობების დღის წესრიგში არსებული ვაჭრობის, სატრანსპორტო კავშირებისა და კულტურულ-ჰუმანიტარული ურთიერთობების სფეროებთან დაკავშირებული ის პრაქტიკული საკითხები, რომელიც ჟენევის მოლაპარაკებების მიღმა რჩება. საქართველო, საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობების დეესკალაციას არ განიხილავს, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ალტერნატივად. ეს ორი პროცესი პარალელურ რეჟიმში წარიმართება - საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური არჩევანი, რომელიც ქართველი ხალხის თავისუფალი ნების გამოხატულებაა, გადასინჯვას არ ექვემდებარება.

საბოლოო ჯამში ეს ვითარება დამთავრდა ექვს პუნქტიანი შეთანხმება-ხელშეკრულებით, რომელსაც რუსეთი ისევ და ისევ არღვევს.

§ 3. საქართველო და სხვა ქვეყნები

საქართველოსათვის მნიშვნელოვანია რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობების განვითარება და განმტკიცება, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში ურთიერთინტერესებზე დამყარებული პოლიტიკური თანამშრომლობის გაუმჯობესებას, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გამყარებას, ასევე სავაჭრო-ეკონომიკურ, სატრანსპორტო და ენერგეტიკულ სფეროებში ურთიერთობების გაღრმავებას.

ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან კარგად აქვს გამოქვეყნებული თავის საიტზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, დავიხმაროთ ეს საიტი[30] და ჩვენეული დასკვნები გავაკეთოდ დასკვნაში.

საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორთან - **აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან** მჭიდრო თანამშრომლობის გაგრძელებას, პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ, ენერგეტიკულ, სატრანსპორტო და კულტურის სფეროებში. ქვეყნის წინაშე არსებული მიზნების მისაღწევად, მნიშვნელოვანი იქნება მხარეებს შორის ვიზიტების ურთიერთგაცვლის არსებული აქტიური დინამიკის შენარჩუნება და ძალისხმევის გააქტიურება სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის დასრულების მიზნით.

ენერგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის და სატრანსპორტო დერეფნის განვითარების თვალსაზრისით, აზერბაიჯანთან და თურქეთთან პრიორიტეტული იქნება „სამხრეთის დერეფნისა“ და ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტების განხორციელება. რეგიონული პარტნიორობის განვითარების კონტექსტში, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის გაღრმავება საქართველო-თურქეთი-აზერბაიჯანის სამმხრივ ფორმატში.

[30] www.mfa.gov.ge

სომხეთის რესპუბლიკასთან - მიმართებაში, საქართველოს მიზანია ქვეყნებს შორის ჩამოყალიბებული კეთილმეზობლური ურთიერთობებისა და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის შემდგომი განვითარება. მნიშვნელოვანი იქნება ურთიერთხელსაყრელი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება, ასევე მუშაობის გააქტიურება სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის დასრულების მიზნით.

საქართველო მიისწრაფვის, რეგიონის ქვეყნებთან - **უკრაინასთან დამოლდოვის რესპუბლიკასთან** მეგობრული და ურთიერთსასარგებლო, მჭიდრო თანამშრომლობის გაღრმავებისაკენ. გასათვალისწინებელია, რომ უკრაინა და მოლდოვა, საქართველოსთან ერთად დღეს ისეთი საერთო გამოწვევების წინაშე დგანან, რაც საფრთხეს უქმნის მათ ტერიტორიულ მთლიანობასა და საზღვრების ურღვევობას, ევროკავშირში ინტეგრაციასა და ევროპულ ღირებულებებზე დამყარებული თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობის პროცესის გაღმავებას. საქართველო-უკრაინასა და საქართველო-მოლდოვას შორის არსებული, ტრადიციულად მეგობრული ურთიერთობებისა და საერთო თანამედროვე გამოწვევების კონტექსტის გათვალისწინებით, პრიორიტეტულია ევროინტეგრაციის კუთხით ურთიერთდახმარებაზე, წარმატებულ რეფორმებთან დაკავშირებით გამოცდილების ურთიერთგაზიარებაზე დაფუძნებული, მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება და საერთო გამოწვევების წინააღმდეგ, მხარეებს შორის, ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში თანამშრომლობის გაფართოება.

საქართველოს ასევე მეგობრული ურთიერთობა ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტთან, აშშ-ზე უკვე ვისაუბრეთ გარდა ამისა საქართველო ესწრაფვის **კანადასთან**, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ეკონომიკურ და პოლიტიკურ აქტორთან მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების ეტაპობრივ განვითარებას.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას ევროპის ქვეყნებთან მჭიდრო, ურთიერთსასარგებლო პარტნიორული თანამშრომლობის ჩამოყალიბება/გაღრმავება წარმოადგენს, რომელსაც ქვეყნისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

საქართველო, როგორც ევროპის აზიასთან დამაკავშირებელი ბუნებრივი რგოლი, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ცენტრალური აზიის ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობას, სავაჭრო-ეკონომიკურ, სატრანსპორტო, ენერგეტიკულ და გლობალური უსაფრთხოების სფეროებში. ჩვენი მიზანია საქართველოს, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული აბრეშუმის გზის ქვეყნის, ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელი სატრანზიტო ფუნქციის მაქსიმალური გამოყენება და დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ხალხის, საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების ხელშეწყობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით ნახშირწყალბადების ტრანსპორტირება ევროპისაკენ და აქედან გამომდინარე ორმხრივი სატრანსპორტო ურთიერთობების ინტენსიფიკაცია და კომუნიკაციებისა და ინფრასტრუქტურის სრულყოფა, ასევე ცენტრალური აზიის ქვეყნებში ქართული პროდუქციის ექსპორტის ხელშეწყობა და ტურისტებისა და ინვესტიციების მოზიდვა.

ახლო აღმოსავლეთის რეგიონი დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური კვანძია - ამ რეგიონში განვითარებული პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები გავლენას ახდენს მთელს მსოფლიოზე. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესში ხელშესახები წინსვლა. საქართველო სასიცოცხლოდაა დაინტერესებული მის უშუალო სამეზობლოში არასტაბილურობის აღმოფხვრით და მხარს უჭერს საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევას, გადადგას ეფექტიანი ნაბიჯები კონფლიქტის მოგვარებისთვის, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ძალადობის შეწყვეტისა და ადამიანთა ღირსების, უსაფრთხოების და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

გაგარძელდება ძალისხმევა პოლიტიკური დიალოგისა და სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების განვითარების მიმართულებით სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონის ქვეყნებთან, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში საქართველოს ცნობადობის გაზრდას, საერთაშორისო ფორმატებში მხარდაჭერის მოპოვებას და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას.

საქართველო ისწრაფვის ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებთან ურთიერთობების გაღმავებისაკენ. ამ მიმართულებით პრიორიტეტს წარმოადგენს მაღალი დონის ორმხრივი პოლიტიკური დიალოგის წარმოება,

ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების ხელშეწყობა, რეგიონში საქართველოს შესახებ ცნობადობის ამაღლება სხვადასხვა სახის კულტურული პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელების გზით. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება უწყებათაშორის და საპარლამენტო თანამშრომლობის კომპონენტებს.

საქართველოსა და ოკეანეთის რეგიონს შორის დიდი გეოგრაფიული დისტანციის მიუხედავად, საქართველოსთვის მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტია ოკეანეთის რეგიონში საქართველოს ჩართულობა და კუნძულოვან სახელმწიფოებთან ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების განვითარება. საქართველო ესწრაფვის აფრიკის კონტინენტის ქვეყნებთან პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურული და სხვა სახის კავშირების განმტკიცებას და თანამშრომლობის პოზიტიური დღის წესრიგის განვითარებას, მათ შორის დაინტერესებული სახელმწიფოებისთვის საქართველოს რეფორმატორული გამოცდილების გაზიარებას ინსტიტუციური და კარგი მმართველობის სფეროში.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში ვისაუბრეთ ისეთ მნიშვნელოვან ინსტიტუტზე, როგორიცაა საერთაშორისო ურთიერთობები და განვმარტეთ, საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად. ჩვენ ძირითადად სახელმწიფოთშორისო ურთიერთობებზე გავამახვილეთ ყურადღება, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ურთიერთობის სუბიექტი სახელმწიფოს გარდა, არის საერთაშორისო ორგანიზაციები, ტრანსნაციონალური კორპორაციები, არასამთავრობო საერთაშორისო ორგანოები და თვით ფიზიკური პირიც კი. ჩვენ ჩამოვაყალიბეთ და ავხსენთ ყველა საერთაშორისო ურთიერთობის სუბიექტი. ასევე განვიხილეთ საერთაშორისო სამართლის მნიშვნელობა და როგორც შესავალში ვთქვით დასკვნაშიც დავსძენთ, საერთაშორისო ურთიერთობის მეშვეობით სახელმწიფო არ კარგავს სუვერენიტეტს, უფრო მეტად კი ჩვენისთანა პატარა, განვიტარებადი სახელმწიფოები. მოკლედ შევეხეთ თეორიებს და ისტორიას.

აგრეთვე განვიხილეთ საერთაშორისო სამართლის ორგანოები, გლობალური თუ რეგიონალური. დავსძინეთ, რომ ყველაზე რთული გაწევრიანების წესები გააჩნია ნატოს.

რაც მთავაია განვიხილეთ საქართველოს ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში და მისი გარე სამყარო. ცალკ-ცალკე ჩამოვაყალიბეთ

საქართველოს ურთიერთობა ნატოსთან, დესეთესთან, ევროკავშირთან, გაეროსთან, რუსეთთან, აშშ_სთან და სხვა ქვეყნებთან.

აქედან საკამათო საკითხები იყო უთიერთობა ნატოსთან, ევროკავშირთან და რა თქმა უნდა რუსეთთან.

ნატოში გაწევრიანება არის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი საქართველოსთვის, რადგანაც მეზობელი სახელმწიფოს შემოტევის საშიშროება მოიხსნება, როგორც აღვნიშნეთ, ნატოს ურთულესი პირობები აქვს გაწევრიანებისათვის, ამიტომაც პოლიტიკური და სუბერენული პრობლემების გამო საქართველო გაწევრიანების კანდიდატთა შორისაც კი არ არის. ოფიციალური ცნობებით ასეთი სახელმწიფო უკრაინაა.

არც თუ ნაკლებია ევროკავშირთან ურთიერთობა და ასოცირების ხელშეკრულება. ჩვენთვის დიდი მიღწევაა ასოცირების ხელშეკრულება, შენგენის ზონა და უვიზო მიმოსვლა, მაგრამ თუ გადავხედავთ წინაპირობებს, ჩვენი სუბიექტური აზრით, ამით არაფერი არ შეცვლილა. ევროპის ნებისმიერ სახელმწიფოში გამგზავრების წინაპირობა არ უნდა გქონდეს ფულადი ვალდებულება. როგორვ ვიცით, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში სამოგზაუროდ, ჩვენ ერთ დღეზე უნდა გვქონდეს გათვალისწინებული 50ევრო , რაც საქართველოს მოსახლეობის უმეტესობას ამის შესაძლებლობა არ გააჩნია. მოკლედ, რომ ვთქვათ შენგენის ზონაში გაწევრიანებამ მოგვიტანა ის, რომ სამოგზაუროდ ან სასწავლებლად წამსვლელი პირებს არ გაეწელებათ დრო ვიზის გასაკეთებლად.

ასევე მნიშვნელოვანია ევროკავშირში გაწევრიანების პრობლემები. არ გვინდა უხეშად გამოგვივიდეს, მაგრამ საქართველო ჯერ კიდევ ისე განვითარებული არ არის, რომ ევროკავშირის რომელიმე წევრი სახელმწიფოს თანაბარი იყოს. ნატოში გაწევრიანება თავდაცვით პრობლემას გვიხსნის, მაგრამ ევროკავშირს ეს ფუნქცია არ გააჩნია, სხვა საკითხია, თუ მომავალ მიზანს განახორციელებს საერთო თავდაცვის ფუნქციას დაამატებით. რა მოუვა საქართველოს თუ გაწევრიანდა ევროკავშირში? რა თქმა უნდა საბერძნეთივით გაკოტრდება და რატომ. გერმანიის ან საფრანგეთის წარმომადგენელი შეამოწმებს ქართული პროდუქციის წარმოებას და გამოიტანს დასკვნას, რომ ის არ აკმაყოფილებს ევროსტანდარტს, მიუხედავად იმისა რომ ქართული პროდუქცია გაცილებით სასარგებლოა ვიდრე ევროპისა.

დახურავს ქართულ საწარმოს, გაიხსნება გერმანული სტანდარტების, რომელიც ევროსტანდარტს შეესაბამება და ქართულ პროდუქციას ის აწარმოების. მოგებულ კაპიტალს კი დააბანდებს გერმანიაში. ეს კი გაკოტრებამდე მიგვიყვანს.

და ბოლოს ყველაზე მნიშვნელოვანი და მტკივნეული თემა რუსეთთან დაძაბული უთიერთობა და ომი. ამ საკითხზე ბევრი ვისაუბრეთ და ტავტოლოგია, რომ არ გამოგვივიდეს, მოკლეთ ჩამოვაყალიბებთ, რომ რუსეთმა დაარღვია ომის კანონები. გათვალისწინებულია ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციებით და მისი დამატებითი ოქმებით. საბოლოო ჯამში დავზავდით ექვსპუნქტიანი შეთანხმებით, რაზედაც მადლობას უხდის საქართველო საფრანგეთს, ევროკავშირს და ნატოს, მაგრამ ამ წესებსაც არღვევს რუსეთი დღემდე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გურამ ჯოლია, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი 2015;
2. პიერ დე სენარკლენი იოან არიფენი, საერთაშორისო პოლიტიკა თანამედროვე თეორიები და ამოცანები, მეხუთე გამოცემა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2014;
3. მიხეილ მირზაშვილი ივანე ჩხიკვაძე, გზამკვლევი ევროკავშირი და საქართველო, გამომცემლობა „საუნჯე“, თბილისი 2014 წელი;
4. კოსტანტინე კორკელია, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო (სტატიათა კრებული), გამომცემლობა „GIZ“, თბილისი 2011;
5. ავტორთა კოლექტივი, განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, გამომცემლობა BWV · BERLINER WISSENSCHAFTS-VERLAG, თბილისი 2012;
6. გოჩა საითიძე- პირველი უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია ერთა ლიგა და დამოუკიდებელი საქართველო 1919-21 წ.წ. „უნივერსალი“ თბილისი 2010;
7. ზურაბ ავალიშვილი - საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში - თბილისი : ნიამორი , 1990;

8. საქართველოს ისტორია : XX საუკუნე; - გამომცემლობა „არტანუჯი“ - თბილისი 2003;

9. საქართველოს ისტორია 4 ტომად (ძველი წელთა აღრიცხვა I ტომი) - თბილისი 2012;

10. ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციები და მათი დამატებითი ოქმები, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, თბილისი 2008 წელი;

11. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილი, წიგნი I, თარგმნაზე საავტორო უფლება ეკუთვნის საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას, გამომცემლობა „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“, თბილისი 1999;

12. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა დოკუმენტები, წიგნი II, თარგმნაზე საავტორო უფლება ეკუთვნის საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას, გამომცემლობა „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“, თბილისი 1999;

13. კოსტანტინე კორკელია ირაკლი სესიაშვილი, საქართველო და საეთაშორისო სამართალი (სტატიათა კრებული), გამომცემლობა „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“, თბილისი 2001;

14. ავტორთა კოლექტივი, საერთაშორისო სამართალი (II), გამომცემლობა „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“, თბილისი, მარტი 1999;

15. ავტორთა კოლექტივი, საერთაშორისო სამართალი (III), გამომცემლობა „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“, თბილისი, მარტი 1999;

16. ავტორთა კოლექტივი, სახელმწიფო და სამართალი (III), გამომცემლობა „ალმასხანი“, თბილისი 2001;

17. ირაკლი სესიაშვილი გიორგი გიორჰანაშვილი, ადამიანის უფლებათა დაცვის სამართალი (I), გამომცემლობა „ალმასხანი“, თბილისი 1998;

18. ირაკლი სესიაშვილი გიორგი გიორჰანაშვილი, ადამიანის უფლებათა დაცვის სამართალი (II), გამომცემლობა „ალმასხანი“, თბილისი 1998;

19. საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა, საერთაშორისო ურთიერთობების,როგორც სამეცნიერო დისციპლინის ჩამოყალიბება;

20. საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა, თეორიის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში.

ელექტრონული წიგნები

1. ლევან ჯაყელი, სალექციო კურსი: საერთაშორისო საჯარო სამართალი (ზოგადი ნაწილი) (სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამებისთვის) [ელ-ვერსია];

2. მარიამ ტყეშელაშვილი და ანა ერემეიშვილი, რუსეთ-საქართველოს აფვისტოს ომის განხილვა, [ელ-ვერსია];

3. ეკა აკობია, საერთაშორისო ურთიერთობის თეორია, სალექციო კურსი სოციალური მეცნიერების მაგისტრატურისთვის, თბილისი 2006, [ელ-ვერსია];

4. საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა, საერთაშორისო ურთიერთობების,როგორც სამეცნიერო დისციპლინისჩამოყალიბება, [ელ-ვერსია];

5. ალექსანდრე ჯიშკარიანი და გიორგი ასტამაძე(მასალა მომზადებულია საგარეო ურთიერთობის სტაჟიორების მიერ), გაწევრიანების სამოქმედო გეგმა [ელ-ვერსია].

ნორმატიული აქტები

1. 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი;

2. 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუცია;

3. 1921 წლის 21თებერვლის საქართველოს კონსტიტუცია;

4. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მიღებული 1948 წლის 10 დეკემბერს;

5. გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ ;

6. გაეროს წესდება 1945 წლის 25 ივნისი;

7. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვეცია რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი;

8. ფაკულტატიური ოქმი საერთაშორისო პაქტის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ;

9. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება, მიღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უფლებამოსილ წარმომადგენელთა დიპლომატიურ კონფერენციაზე, 1998 წლის 17 ივლისი;

10. ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულება;

11. ვაშინგტონის ხელშეკრულება;

12. გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული N858 881-ე რეზოლუციები;

13. საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები;

14. საყოველთაო საერთაშორისო სამართალი.

უცხოური ლიტერატურა

1. АКАДЕМИЯ УПРАВЛЕНИЯ ПРИ ПРЕЗИДЕНТЕ РЕСПУБЛИКИ БЕЛАРУСЬ, УТВЕРЖДЕНО, Проректором по чебной работе, УЧЕБНАЯ ПРОГРАММА ПО ДИСЦИПЛИНЕ МЕЖДУНАРОДНОЕ, ДИПЛОМАТИЧЕСКОЕ И КОНСУЛЬСКОЕ ПРАВО [эл-версия];

2. Колектив авторав, дипломатия, [эл-версия];

3. Декларация о принципах международного права, касающихся дружественных отношений и сотрудничества между государствами в соответствии с Уставом Организации Объединенных Наций, Принята резолюцией 2625 (XXV) Генеральной Ассамблеи ООН от 24 октября 1970 года;

4. Американская конвенция о правах человека 1969 год 22 ноября;

5. Африканская хартия прав человека и народа 1981 год 26 июня;

6. Treaty of Accession;

7. Treaty on the functioning of the European Union;

8. Treaty on European Union.

ინტერნეტ რესურსები

www.tabula.ge

www.mfa.gov.ge

https://ka.m.wikipedia.erg/wiki/

https://ru.m.wikipedia.org/wiki/международные_отношения

http://www.tabula.ge/ge/tablog/

www.ei-lat.ge

www.coursehero.com

www.112.ua

www.ungeorgia.ge

www.nplg.gov.ge

www.infocenter.gov.ge

www.un.org

www.wikipedia.org